125
220
370
45
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
ა. სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და [illegible]
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-2 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 100.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 2.500,000 მ.

დღიური

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

ლოზანის კონფერენციაზე მოსალოდნელია განხეთქილება ჩესტერის კონცესიის გამო.

საბერძნეთი ჯარებს აგროვებს

გერმანელ სოციალ-დემოკრატების უძლურება ფაშისტების წინააღმდეგ.

მიულჰეიმში შეტაკებების დროს მოკლულია 8, დაჭრილია 28, დაპატიმრებულია 45 კაცი.

რურის ოლქში მყოფ ფრანგ მუშებში მღელვარებაა.

№ 95 შაბათი, 28 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 95

ორშაბათს, 30 აპრილს, საღამოს 5 საათზე სახალხო სახლის დარბაზში შესდგება თბილისის საბჭოს პლენუმის სხდომა:

დღის წესრიგი:

1) საადგილ-მამულო განყოფილების მოხსენება განყოფილების მოქმედების შესახებ. 2) პრეზიდიუმის მოხსენება აღმასკომის მოქმედებისა და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ. 3) 1923 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის დამტკიცება. 4) „კომხაზესის“ მოხსენება მუშაობის მსვლელობის შესახებ 5) მიმდინარე კითხვები.

საბჭოს წევრებს ვსთხოვთ თავის დროზე გამოცხადდნენ სხდომაზე.

პრეზიდიუმი.

კომპარტიის ყრილობის გამო

რეზოლიუციაში, რომელიც პარტიის მე-XII ყრილობამ მიიღო ცეკას მოღვაწეობის ანგარიშის გამო, ამომწურავი სისრულით დასახულია უახლოესი წლებისათვის პარტიის წინაშე მდგარი მთავარი ამოცანები.

ყრილობა, სავსებით იწონებს რა ცეკას პოლიტიკურ და ორგანიზაციულ გეზს, მოითხოვს ამ მიმართულებით მუშაობის გაღრმავება-განვითარებას.

ამ პოლიტიკის წყალობით განმტკიცდა საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობა, პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა განუზიარებლად დადგა კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშების მატერიალური მდგომარეობა, გაიზარდა მათი კლასობრივი, პოლიტიკურ-კულტურული შემეცნება, გაიზარდა პროფკავშირების ავტორიტეტი, დაპყრობილ იქნა კოოპერაცია და სხ.; გამოცოცხლდა მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა.

ამ მხრივ ჩვენ კვლავ უნდა ვაწარმოოთ ინტენსიური მუშაობა.

სასოფლო მეურნეობა შეადგენს ჩვენი სახალხო მეურნეობის მთავარ ფუძეს, ამასთან სახელმწიფო მრეწველობის და პირველ ყოვლისა, მძიმე ინდუსტრიის განვითარება არის მკვიდრი საძირკველი ჭეშმარიტად სოციალისტური მშენებლობის.

სასოფლო მეურნეობის განვითარების საქმეში დღეს პირველი ადგილი უკავია პურის ექსპორტის მოგვარებას და ამასთან დაკავშირებით ნორმალურ დამოკიდებულების დამყარებას პურის და სამრეწველო ნაწარმოების ფასებ შორის. ეს მისცემს გლეხობას სტიმულს სახნავ ადგილების გასაფართოებლად და საერთოდ ინტენსიურ სამეურნეო მუშაობისათვის. მეორე ღონისძიება, რომელიც აგრეთვე ისახავს გლეხობის ინტერესების დაცვას, არის ფრთხილი საგადასახადო პოლიტიკის წარმოება სოფლად. უნდა იქნას გამორკვეული გლეხობის ნამდვილი საგადასახადო შემძლებლობა და ამის დამიხედვით დაწესებული გადასახადის რაოდენობა, რომ ის მძიმე, აუტანელ ტვირთად არ დააწვეს სოფლის მეურნეს.

ამ ორ ზომას აქვს არა მარტო უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების თვალსაზრისით, არამედ უაღრესი პოლიტიკური მნიშვნელობაც: ჩვენ უნდა დავიცვათ და განვავითაროთ მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან. აქედან უნდა გამოვდიოდეთ ყველა საკითხების გადაჭრის დროს,—ასეთია ყრილობის კატეგორიული დირექტივი. ყრილობამ გადაჭრით უარყო ის მიმართულება, რომელიც ჩვენს პარტიას ამტყუნებს ვითომდა გლეხურ გადახრაში, მიმართულება, რომლის გამარჯვებას მოჰყვებოდა მუშათა კლასის და გლეხობის გათიშვა და საბოლოო ანგარიშით რევოლიუციის დამარცხება.

პროლეტარიატის და გლეხობის კავშირის განმტკიცებას დიდად შეუწყობს ხელს სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება, გამარტივება და გაიაფება, მისი ნამდვილ სოციალისტურად გარდაქმნა. ეს შეადგენს უახლოეს წლების ერთ ცენტრალურ ამოცანას.

საჭიროა აგრეთვე სამეურნეო ორგანოების გაჯანსაღება. ორივე ეს უმთავრესად მოსახერხებელია მაშინ, როცა ისინი პარტიის სასტიკ და მუდმივ კონტროლ ქვეშ იქნებიან დაყენებულნი.

აქ იჭრება საკითხი პარტიისა და სამეურნეო-სახელმწიფო აპარატის ურთიერთობის შესახებ.

მათ შორის შრომის დანაწილება უნდა იქნეს დაცული, როგორც ეს განსაზღვრა მე-11 ყრილობამ. მაგრამ ამ ყრილობის დადგენილებას ზოგიერთები აძლევენ ფართე კომენტარიებს, სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოებიდან პარტიის მეტი დაშორების აზრით.

ეს ტენდენცია დიდ საფრთხეს შეიცავს, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა ახალი ეკონომიური პოლიტიკა თავისი უარყოფითი წვრილი ბურჟუაზიული თვისებებით ცდილობს შემოჭრას და ჩვენს დამორჩილებას. ყრილობამ გადაჭრით უარყო სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოებში პარტიის ხელმძღვანელი როლის შესუსტების ცდა და აღიარა, რომ დღეს უფრო საჭიროა, ვინემ როდისმე, პარტიამ შეინარჩუნოს და უფრო გააფართოვოს ამ სფეროებში თავისი როლი და ხელმძღვანელობა.

ამასთან დაკავშირებით ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ კომუნისტ მეურნეებს, რომელნიც წარიგზავნებიან სამეურნეო ორგანოებში. მათ თავიანთი მუშაობის ატმოსფერის და პირობების წყალობით, ემუქრებათ საშიშროება მშრომელ მასსებიდან მოწყვეტის, შინაგანი გარდაქმნის და წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიის ჭაობში გადავარდნის. ამიტომ იქ უნდა გაიგზავნონ პარტიიდან მტკიცე ამხანაგები და მათ უნდა გაეწიოთ ფხიზელი კონტროლი პარტიის მხრით.

სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოების გაჯანსაღებას, იქ კომუნისტების მიერ სწორ პოლიტიკის წარმოებას ხელს შეუწყობენ გარდაქმნილი საკონტროლო კომისია და მუშურ-გლეხური ინსპექცია, რომელთა რეორგანიზაციის პროექტი ყრილობამ მოიწონა.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების და მშრომელთა შეკავშირების მიზნით ყრილობამ უდიდესი ყურადღება მიაქცია აგრეთვე ეროვნულ საკითხს.

ამაზე ჩვენს პარტიას სწორი შეხედულებები აქვს გამომუშავებული და დადგენილებები მიღებული. მაგრამ ზოგჯერ ფაქტიურად ხდებოდა გადახვევა ამ დადგენილებებიდან. ყრილობამ ხაზგასმით აღიარა, რომ დიდ საფრთხეს განუმზადებდა პარტიას საკმაო ყურადღებას მოკლებული დამოკიდებულება წინედ დაჩაგრულ ერების მშრომელ მასსებისადმი. ყრილობა თავის რეზოლიუციაში ამბობს, რომ „პარტია ვალდებულია გადაჭრილი ბრძოლა აწარმოოს პირველ და უწინარეს ყოვლისა დიდ-რუსულ შოვინიზმის ნაშთებთან. მხოლოდ გადაჭრილი ბრძოლით დიდ-რუსულ შოვინიზმთან შესაძლებელია კავშირის სიმტკიცის უზრუნველყოფა და პარტიის გავლენის უზრუნველყოფა სხვა ქვეყნების მშრომელ მასსებ შორის“.

ყრილობის რეზოლიუცია ეხება მრავალ სხვა საკითხებს, როგორც შინაპარტიულ მუშაობის დარგში, ისე წითელ არმიის და ფლოტის განმტკიცების საქმეში, რასაც განსაკუთრებით უნდა მიექცეს ყურადღება, როცა ღრუბლები იკუმშება და მსოფლიო ბურჟუაზია ახალ სისხლის ღვრას ემუქრება კაცობრიობას; აგრეთვე ცხოვრების წამოყენებულ სხვა საკითხებს.

პარტიულ მასსებმა კარგად უნდა შეითვისონ ყრილობის დირექტივები, გამოხატულნი მის რეზოლიუციაში და შეუდგნენ გადაუხვევლად მათ გატარებას ცხოვრებაში.

ბრძოლა მუშათა მთავრობისათვის გერმანიაში

გერმანიის შინაური ცხოვრება ერთი ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური კონფლიქტის მოლოდინშია, რომელიც იწყება საიმპერიო ხელისუფლებისა და საქსონიის მთავრობის შორის.

წარსული წლის ნოემბრის არჩევნების დროს საქსონიის ლანდტაგში ადგილების უმრავლესობა ერგო სოციალ-დემოკრატიულ და კომუნისტურ პარტიას და ბურჟუაზიული პარტიები დარჩნენ უმცირესობაში. კონკრეტულად პარტიულ ძალთა განწყობილება ასეთი აღმოჩნდა: სოციალ-დემოკრატებმა გაიყვანეს 45 დეპუტატი, კომუნისტებმა—10, ხოლო ყველა ბურჟუაზიულმა პარტიებმა ერთად 40 დეპუტატი ისე რომ უმრავლესობა არც ერთ პარტიას არა ყავს. საჭირო შეიქნა კოალიცია ან მარჯვენის ან მარცხნის. მემარჯვენე ფრთა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიის და მასთან ერთად ლანდტაგის ს. დ. ფრაქციის უმრავლესობაც მომხრე იყო კოალიციისა ბურჟუაზიულ პარტიებთან, მაგრამ თვით მათივე მიმდევარი მუშების ენერგიული პროტესტის გამო ეს გეგმა ჩაიფუშა. საქსონიის კომპარტიის წინადადება კი იყო შექმნა მუშათა მთავრობისა, რომელიც დაეყრდნობოდა პარლამენტში — ყველა მუშათა დეპუტატების უმრავლესობაზე, გარეთ კი მუშათა კლასიურ ორგანოებზე, უმთავრესად ფაბრიკა-ქარხნების ცნობილ საბჭოებზე. წინადადება უარყოფილ იქნა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების მიერ, რომლებმაც სხვა და სხვა კომბინაციების საშუალებით მაინც მოახერხეს დაბოლოს შეედგინათ თავიანთი მთავრობა და იმავე წლის დეკემბრის დასაწყისიდან ის კიდევაც შეუდგა მუშაობას. მაგრამ შუაში გახირებულ ბურჟუაზიულ პარტიებსა და კომუნისტებს შორის მან ვერც პირველების „გული მოიგო“ სავსებით და, რასაკვირველია, სრულიად აამხედრა თავის წინააღმდეგ ჩვენი ამხანაგებიც. ერთ-ერთ ცხარე საპარლამენტო კამათის დროს მთავრობის შინაური პოლიტიკის გამო, კომუნისტურმა ფრაქციამ დასვა საკითხი მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. ვინაიდან ამ წინადადებას ხმა მისცეს ბურჟუაზიულმა პარტიებმაც კომუნისტებთან ერთად, სოციალ დემოკრატიული მთავრობაც დაეცა. ეს მოხდა მიმდინარე წლის 30 იანვარს და მას შემდეგ კვლავ გაიხსნა მთავრობის კრიზისი საქსონიაში. ეს კრიზისი დამთავრდა ახალი მთავრობის შედგენით „მემარცხენე“ სოციალ-დემოკრატებისაგან, რომელსაც მხარს უჭერენ სოციალ-დემოკრატია და კომუნისტური პარტია. ამნაირათ მოეწყო საქსონიაში მუშათა მთავრობა.

ერთ ერთი მუხლი პლატფორმის, რომლის ნიადაგზე მოხდა შეთანხმება სოციალ-დემოკრატებსა და კომუნისტებს შორის, იყო ამ უკანასკნელების მიერ წამოყენებული მოთხოვნა მუშათა შეიარაღებული წითელი რაზმების მოწყობის შესახებ რეაქციონერებისა და ადგილობრივი ფაშისტებისაგან თავდაცვის მიზნით. ამ გზას ადგია დღემდი მთავრობა და ამ აზრითვე გამოვიდა აგერ წინაზე განცხადებებით მთავრობის თავმჯდომარე, „მემარცხენე“ სოციალ-დემოკრატი ცეიგლერი.

უკვე ის ფაქტი, რომ სოციალ-დემოკრატებმა, თუნდაც „მემარცხენეებმა“ მათ შორის, ასეთი ენით დაიწყეს ოფიციალური გამოსვლები და გაყავთ ჯერ-ჯერობით ცხოვრებაში კომუნისტებთან მიღწეული შეთანხმება, მაჩვენებელია იმისი, რომ თვით სოც.-დემოკრატიულ მუშებშია ძლიერი მიდრეკილება ერთიანი ფრონტის განხორციელებისათვის. ეს მოწმობს იმას, რომ „წითელი საქსონია“ თავისი რევოლიუციონური პროლეტარიატის ტრადიციებით არ სტოვებს თავის ძველ გზას, და რომ ის წარმოადგენს დღესაც ერთ-ერთ კუთხეს გერმანიისას, საიდანაც უნდა დაიწყოს გასაბჭოება ბურჟუაზიული რესპუბლიკის.

მაგრამ სწორეთ ეს გარემოებაა, რომ მოსვენებას არ აძლევს, როგორც მემარჯვენე ფრთას სოციალ-დემოკრატიისას და მისი გავლენის ქვეშ მყოფ პროფკავშირების ბიუროკრატიას, ისევე ყველა ბურჟუაზიულ პარტიებს, როგორც საქსონიაში ისე მთელ გერმანიაში. მათ ერთი აურზაური ასტეხეს მინისტრ-პრეზიდენტის ცეიგლერის ხსენებული გამოსვლის გამო და მოუწოდებენ ბერლინს, კუნოს მთავრობას, გაილაშქროს საქსონიის მუშათა მთავრობის წინააღმდეგ. განზრახულია დაშლა მუშათა შეიარაღებული რაზმების და შეჩერება ამ მიმართულებით მუშაობის. მზადდება ამნაირათ კონფლიქტი საიმპერიო და გერმანიის კავშირის ერთი მონაწილის მთავრობათა შორის, რომელიც თავისი მნიშვნელობით სცილდება საქსონიის საზღვრებს და იძენს ინტერესს არა მარტო გერმანიისთვის, არამედ შორს, მისი საზღვრების გადაღმაც. და ეს მით უმეტეს, რომ იგივე საკითხი სოციალ-დემოკრატიული მთავრობიდან მუშათა მთავრობაზე გადასვლის შესახებ სდგას ტიურინგიაშიც და ამნაირათ მთელ რიგ პატარა მოკავშირე ერთეულებში თითქოს მზადდება პირველი ნაბიჯი გასაბჭოებისკენ.

რასაკვირველია ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს პროცესი უმტკივნეულოთ ჩატარდება არა მარტო გერმანიაში საერთოთ, მისი დღევანდელი შინაური და საერთაშორისო მდგომარეობის გამო, არამედ თვით ამ პატარა სახელმწიფოებშიაც ამ აზრით არის საყურადღებო ის მოძრაობა, რომელიც იწყება დღეს გერმანიის პროლეტარიატში ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობათა კონფლიქტის მოლოდინში. ის წინ წასწევს გაყინულ წერტილიდან კუნო-ებერტის რესპუბლიკას და ხელს შეუწყობს იმ ძალების კრისტალიზაციასა და დარაზმვას, რომლებმაც თავის მხრებზე უნდა ზიდონ მთელი სიმძიმე დიდი ცენტრალური სახელმწიფოს გარდაქმნის. ვინაიდან ბოლოს და ბოლოს ეს არის ძალის საკითხი—„მახტფრაგე“, როგორც ამბობენ გერმანელები—ცხადია ეს გარემოება იზიდავს არა მარტო შეუნელებელ ყურადღებას საერთაშორისო პროლეტარიატის მხრივ გერმანიაში მიმდინარე ამბებისადმი, არამედ უფრო რეალურ დახმარებას მისგან. ამ დახმარებაზე ფიქრი ნაადრევი არ არის განსაკუთრებით დღეს სპეციალურათ კომინტერნის მხრივ, რომელიც არის ინიციატორი ერთიანი ფრონტისა და მუშათა მთავრობების შექმნის, როგორც პირველი საფეხურის ევროპის პროლეტარიატის აქტიური გამოსვლების გზაზე.

რადიო-ტელეგრამები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

(ბიულეტენი № 27).

მოსკოვი, 26 აპრილი. მოვლენები ფილტვების მხრივ იგივეა. ტემპერატურა—37,7, პულსი—116. სუნთქვა—24. საერთო მდგომარეობა უცვლელია.

1923 წ. 26 აპრილი, ნაშუადღ. 2 საათი.

პროფესორები: მინკოვსკი, ფიორსტერი, კრამერი, ხუმკე, ექიმი ელისტრატოვი.

პრივატ-დოცენტი: კოჟევნიკოვი.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: სემაშკო.

რურის ოლქის ოკუპაცია

რეპრესიები მიულჰეიმში.

ბერლინი, 27 აპრ. მიულჰეიმში მომხდარი ამბების გამო, ოკუპანტებმა ქალაქს დაადვეს ჯარიმა (გამოურკვეველია) მილიონი მარკა. ამას გარდა ოკუპანტები ახდენენ ჩხრეკას და იარაღის კონფისკაციას.

ფრანგი მუშების აღელვება რურში.

ბერლინი. 27 აპრ. „ბტი ჟურნალი“ იუწყება, რომ დიუსელდორფიდან მოსული ცნობით რურში ფრანგ რკინისგზელებსა და მაღაროს მუშებს შორის მღელვარებამ იჩინა თავი. ისინი მოითხოვენ შრომის ხელფასის გადიდებას და ოჯახების ჩამოყვანის ნებართვას, რაც მეტად გაადიდებს საოკუპაციო ხარჯებს.

ახალი მიტაცებლობა.

ბერლინი. 24 აპრილი. ფრანგებმა დაიკავეს რურში კიდევ 40 ნახშირის მაღარო.

ფრანგები ითვისებენ მუშების ხვედრ ნაწილს.

ბერლინი. 24 აპრილი. მემაღაროეთა ყველა კავშირებმა მიმართეს გენერალ დეგუტს წერილობითი პროტესტით იმის შესახებ, რომ გენერალ დეგუტმა გასცა განკარგულება დაკავებული იქნეს ყველა ტრანსპორტები, რომელთაც არ აქვთ სათანადო ნებართვა, რის გამო მუშები კარგავენ ნახშირის ხვედრ ნაწილს. კომუნისტებმა მიმართეს მუშებს მოწოდებით არ დაემორჩილონ გენერალ დეგუტის დადგენილებას და არც ერთმა მუშამ არ მოაწეროს ხელი ფრანგების გატარების ნებართვას.

ნაციონალისტები მოითხოვენ აქტიურ გამოსვლებს.

ბერლინი. 24 აპრ. პატრიოტულ კავშირთა კონფერენციის მიერ ბერლინში მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც აფრთხილებს გერმანიის მთავრობას არ დაიწყოს მოლაპარაკება ფრანგებთან სანამ რურის ოლქი არ იქნება გაწმენდილი.

ჰამბურგში გამართულ საჯარო კრებაზე ბავარიის იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ გერმანიისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ პასიური წინააღმდეგობა. ერთ მშვენიერ დღეს, გერმანია უნდა დაადგეს აქტიურ გა-

მეტის-მეტი სიფრთხილე.

ბერლინი. 24 აპრ. რეინის კომისიამ გასცა განკარგულება კარლ რადეკის გადასახლების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ის ჩავა რურის ოლქის ერთ ერთ დაკავებულ რაიონში.

პასუხი კერზონის სიტყვაზე.

ბერლინი. 27 აპრ. გერმანიის მინისტრთა საბჭომ სპეციალურ სხდომაზე გამოიმუშავა პასუხის ტექსტი კერზონის სიტყვაზე. დღეს ეს პასუხი გაეგზავნება ყველა სახელმწიფოებს სპეციალური საპასუხო ნოტის სახით.

ოკუპაციის გარშემო

მიულჰეიმში მომხდარ სისხლის მღვრელ შეტაკებების მსხვერპლი.

ბერლინი. 24 აპრილი. ოფიციალურ ცნობების თანახმად მიულჰეიმის სისხლის მღვრელ შეტაკებების დროს ფრანგების ხელისუფლების მიერ მოკლულია 8 დაჭრილია 28 და დაპატიმრებულია 45 კაცი.

გერმანიის მთავრობის ბრძანება.

ბერლინი. 24 აპრილი. გერმანიის მთავრობამ ბრძანება გასცა იმის შესახებ, რომ ის პირნი, ვინც მხარს დაუჭერს ფრანგებს და ბელგიელებს რურის და რეინის ოლქებში, დაუყონებლივ დატუსაღებულნი იქნებიან.

იმედები გაუცრუვდათ.

ბერლინი, 24 აპრილი, გაზ. „დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგი“ ათავსებს ლონდონიდან მიღებულ ცნობას, რომელშიაც აღნიშნულია, რომ კერზონის სიტყვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ინგლის ჩარევად საფრანგეთის და გერმანიის შორის არსებულ კონფლიქტში და არ მოასწავებს ინგლისის პოლიტიკის ცვლილებას რურის საკითხში. კერზონის სიტყვას მიზნად ჰქონდა მხოლოდ აიძულებინა გერმანიის მთავრობა წარედგინა საფრანგეთისათვის ახალი წინადადება.

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკებისათვის

საფრანგეთის პირობები.

პარიზი. 27 აპრილი, გაზ. „მატენის“ ცნობით, თუ გერმანია წარუდგენს საფრანგეთს მისაღებ წინადადებას, მაშინ საფრანგეთი მოლაპარაკების წინასწარ პირობებად წამოაყენებს პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტას.

საკონტრიბუციო საკითხის გადაწყვეტის ახალი გეგმა.

პარიზი. 27 აპრილი, ხვალ გერმანიის კაბინეტი განიხილავს საკონტრიბუციო საკითხის გადაწყვეტის ახალ გეგმას. ორშაბათს ეს გეგმა გადაეცემა ანტანტის სახელმწიფოებს.

მდგომარეობა გერმანიაში

სოციალ-დემოკრატი მუშათა მთავრობის წინააღმდეგ.

ბერლინი. 24 აპრილი. გერმანიის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელთა კრებაზე მიულერმა გაილაშქრა კუნოს მთავრობის ჩამოგდების წინააღმდეგ. მისი აზრით, სოციალ-დემოკრატიამ ეხლა არ უნდა დაიკისროს პასუხისმგებლობა. მიულერმა გაილაშქრა აგრეთვე მუშათა მთავრობის შედგენის წინააღმდეგ, რადგან მას არ ეყოლება საკმაო უმრავლესობა რეიხსტაგში და ამერიკა ვერ მოითმენს, რომ გერმანიაში შესდგეს მუშათა მთავრობა.

ვინ სარგებლობს მარკის კურსის დაცემით.

ბერლინი. 24 აპრილი. დოლარის კურსი ბერლინში თან და თან იწევს. გაზეთები ათავსებენ სენსაციურ ცნობებს იმის შესახებ, რომ მარკის კურსის დაცემა წასულ კვირაში გამოწვეული იყო დევიზების გაძლიერებული მოთხოვნილებით სტინესის კონსერნიუმის მხრივ. სოციალ-დემოკრატი გელმანი ჰკიცხავს სტინესს მის მიერ მიყენებულ ზიანისათვის და მოითხოვდა საპარლამენტო-საგამომძიებლო კომისიის შედგენას სტინესის მოღვაწეობის გამოსაკვლევად.

რეიხსბანკის გამგეობის გუშინდელ სხდომაზე სტინესის წინააღმდეგ სიტყვა წარმოსთქვა რეიხსბანკის დირექტორმა გავენშტეინმა, რომელმაც პროტესტი განაცხადა მსხვილ მრეწველების ხელში ვალიუტის დაგროვების წინააღმდეგ. გავენშტეინმა განაცხადა, რომ რეიხსბანკი მიიღებს ზომებს, რათა შეზღუდოს ასეთი სპეკულიაცია.

გერმანია ემზადება მნიშვნელოვანი ნაბიჯისათვის.

ბერლინი, 25 აპრილი. კუნომ ამერიკის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს განუცხადა, რომ გერმანია ემზადება მნიშვნელოვანი ნაბიჯისათვის, რაც დაკავშირებულია კერზონის მიერ წარმოთქმულ სიტყვასთან. თუ რაში გამოიხატება ეს ნაბიჯი, კუნომ კონკრეტულად არ თქვა. ოფიციალური წრეების წარმომადგენელთან საუბარიდან კორესპონდენტმა ის შთაბეჭდილება გამოიტანა, რომ გერმანია მართლა მნიშვნელოვანი ნაბიჯის წინ დგას.

ახალი ლოზანა

განხეთქილების საგანი.

პარიზი 24 აპრილი. „მორნინგ პოსტის“ კორესპონდენტის ცნობით პარიზში უნდობლობით უცქერიან ლოზანის ახალ კონფერენციას. ჩესტერის კონცესიები კონფერენციაზე განხეთქილების საგანი გახდება.

შეთანხმება ანტანტის სახელმწიფოებს შორის.

პარიზი, 24 აპრილი. ლოზანის კონფერენციის წრეებში ფიქრობენ, რომ საფრანგეთი ოპოზიციაში ჩაუდგება შეერთებულ შტატებს, თუმცა მას იმედი არა აქვს, რომ ინგლისი მხარს დაუჭერს მას.

კონფერენციის პირველი სხდომა.

პარიზი. 4 აპრილი. ლოზანის კონფერენციის პირველ სხდომაზე არჩეულ იქნა კომისიები ტერიტორიალური და ოსმალეთში უცხოელების რეჟიმის საკითხების შესახებ და აგრეთვე ფინანსიური და ეკონომიური საკითხების შესახებ.

კონფერენციის სხდომაზე ინგლისის დელეგატმა რუმბოლდმა ხელახლა გაიმეორა, რომ ახალი კონფერენცია არ განიხილავს ლოზანის პირველ კონფერენციაზე გადაჭრილ საკითხებს.

ამერიკის დელეგატმა გრიუმ განაცხადა, რომ ამერიკის დელეგაცია დაესწრება კონფერენციას, როგორც ამერიკის მთავრობის სრულ-უფლებიანი წარმომადგენელი და დაიცავს ამერიკის ინტერესებს ამ რიგად ამერიკის დელეგაცია უბრალო მეთვალყურიდან გადაიქცა კონფერენციის აქტიური მონაწილეთ. ეს მოხდა, ალბათ, ჩესტერის კონცესიების წინააღმდეგ გალაშქრების თავიდან ასაცილებლათ.

„ეკო დე პარი“ სწერს, რომ კონფერენცია გაიხსნა მეტად არახელსაყრელ პირობებში, და თუ ოსმალების პოლიტიკა არ შეიცვლება, უკეთესი იქნება მოლაპარაკების შეწყვეტა.

ოსმალეთის ტერიტორიალური მოთხოვნილებები.

ლონდონი. 25 აპრილი. ლონდონის გაზეთების კორესპონდენტების ცნობით, კონფერენციის პირველ სხდომაზე ინგლისის წარმომადგენლის რუმბოლდის თავმჯდომარეობით, ოსმალეთის დელეგაციამ წამოაყენა საკითხი დასავლეთ თრაკიის საზღვრების შესახებ. საკითხის განხილვა გადაიდო ოსმალეთის და საბერძნეთის დელეგაციების აზრის შეუთანხმებლობის გამო. ოსმალეთის დელეგაციამ მოითხოვა აგრეთვე სტამბოლის ევაკუაცია მოკავშირეების მიერ. ამაზე რუმბოლდმა განაცხადა, რომ ზავზე ხელის მოწერამდი სტამბოლის ევაკუაცია შეუძლებელია.

გაჭიანურების პოლიტიკა.

ლოზანა 25 აპრილი. ლოზანის კონფერენცია კვლავ მიმართავს ძველ გაჭიანურების პოლიტიკას და სდებს ზოგიერთ საკითხების განხილვას მანამდე, სანამ კონფერენცია არ შეუდგება ამ საკითხების გადაჭრას შეუძლებელია მისი მიმართულების მთავარი ხაზის გამორკვევა. ქვე კომისიების არჩევიდან სჩანს, რომ მოლაპარაკება გაგრძელდება გამოურკვეველ დრომდე.

პირველ სხდომაზე მოგვარებულია ანუ გადაცემულია ექსპერტთა კომისიაზე ოსმალეთის ვალის საკითხის ზოგიერთი მეორე ხარისხოვანი მუხლები. გადადებულია იმ ძირითად საკითხის განხილვა, რომელიც შეეხება გადასახადების საკითხს ოსმალეთის ვალის საკითხის კომისიისთვის გადაცემას, საზავო ხელშეკრულების პროექტის 47 მუხლის მიხედვით. კონფერენციის პირველი დღის დადებითი შედეგი ძლიერ უმნიშვნელოა.

ტკეპნიან ერთსა და იმავე ადგილს.

ლოზანა. 25 აპრილი. ორშაბათს, დილის სხდომაზე კონფერენციის მესამე სესია მონტანის თავმჯდომარეობით შეუდგა ოსმალეთის კონტრწინადადებების განხილვას ეკონომიური საკითხის სფეროში. მუხლების უმეტესი ნაწილის განხილვა გადადებულია შემდეგი დღისათვის. სხდომის დამთავრების შემდეგ, მონტანიმ განაცხადა, რომ ეკონომიურ კომისიას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ.

ახლო აღმოსავლეთი

საბერძნეთი.

ბერძნები ჯარებს აგროვებენ.

ლონდონი. 24 აპრილი. ლონდონში მიღებულია ცნობები, რომ ბერძნები ჯარებს აგროვებენ თრაკიის საზღვრებზე

ოსმალეთი.

„უფლებების დაცვის“ კომიტეტის გაშვება.

ანგორა. 26 აპრილი „უფლებების დაცვის“ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა დაშალოს პარტიის კომიტეტი ტრაპიზონში, რომელიც რეაქციონური ჯგუფის წარმომადგენლებისაგან შესდგება.

ისმეტ-ფაშას განცხადება.

პარიზი. 27 აპრ. სრუტეების საკითხში შეთანხმების შესახებ ლაპარაკის დროს, ისმეტ ფაშამ განაცხადა, რომ თუ საბჭოთა რესპუბლიკები სრუტეების საკითხში შეთანხმებაში მონაწილეობის სურვილს განაცხადებენ, კონფერენციამ უნდა მოიწვიოს ამ რესპუბლიკების წარმომადგენლები.

მონტანის ფორმულა.

პარიზი. 27 აპრილი. იტალიის დელეგაციის მეთაურმა მონტანიამ განაცხადა, რომ ოსმალების მოთხოვნაზე კუნძულ კასტელო-რიცოს მიერთების შესახებ, ის ეძებს „ამ მოთხოვნილების არ დაკმაყოფილების ფორმულას“.

ვაჭრები მუშაობენ.

პარიზი. 27 აპრ. საფრანგეთის 34 სამრეწველო, რომლებიც ოსმალეთში მოქმედებენ, ბირჟის დელეგაცია ლოზანაში გააგზავნეს, კონფერენციისათვის თავიანთ სურვილების მოსახსენებლათ.

სოციალ-დემოკრატების უძლურება ფაშისტების წინაშე

გერმანია.

ბერლინი. 25 აპრ. რეიხსტაგში კამათის დროს, რომელიც გაიმართა კრებების წესრიგის დამრღვევ პირთა დასჯის კანონპროექტის გარშემო, ბავარიის სოციალ-დემოკრატმა ფოგელმა აღნიშნა, რომ ბავარიაში გიტლერის სამხედრო ორგანიზაციას ძალიან მცირეოდენი გავლენა აქვს. ფოგელმა განაცხადა, რომ გიტლერის მომხრე ნაციონალისტებისათვის რესპუბლიკის დაცვის კანონი არ არსებობს. ბავარიის მთავრობა ნებას აძლევს გიტლერის მებრძოლ რაზმებს გამართონ აღლუმები. ნიურენბერგში რეიხსვერი იარაღს და ტყვიისმფრქვევლებს აწვდიდა ნაციონალურ აქტივისტების სამხედრო ორგანიზაციებს. დიდი აურზაური გამოიწვია ტევტონის თავისუფლების პარტიის წარმომადგენლის კონიგის გამოსვლამ რომელმაც დეპუტატების კამერზე ატეხილ ხმაურობის გამო იძულებული შეიქნა ტრიბუნა დაეტოვებია.

კომუნისტმა რებელმა განაცხადა, რომ თუ არ იქნება მიღებული სათანადო ზომები, მუშები გააძლიერებენ თავიანთ ორგანიზაციებს ფაშისტების წინააღმდეგ. პაულ-ლევიმ აღნიშნა, რომ ბავარია იმყოფება აშკარა ამბოხების მდგომარეობაში.

კენჭის ყრის წინ სოციალ-დემოკრატებმა და კომუნისტებმა დასტოვეს სხდომის დარბაზი, რათა ჩაეშალათ კვორუმი.

კაპიტალისტური რკალის გარღვევა

დანიის პრესა რუსეთ დანიის ხელშეკრულების შესახებ.

სტოკჰოლმი. 25 აპრილი. დანიის პრესაში გამოქვეყნდა საგარეო საქმეთა მინისტრის ცნობა რუსეთ-დანიის ხელშეკრულების შინაარსის შესახებ. გაზეთი „პოლიტიკენი“, აღნიშნავს, რომ მეფის მთავრობის საელჩოს ლიკვიდაციის შემდეგ, აღარ არსებობს დაბრკოლება რუსეთის პოლიტიკური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ საბჭოთა დელეგაციის რუსეთის ერთად-ერთ წარმომადგენლად ცნობის შესახებ.

კოპენჰაგენიდან დეპეშით იუწყებიან, რომ, როგორც დანიის ფოლკეტინგის პრეზიდენტი იუწყება დახურული სხდომის წინააღმდეგ გალაშქრების გამო, შეუძლებელია საბოლოო დადგენილების გამოტანა ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ ახლანდელი სესიის დახურვის წინ. ხელშეკრულება გადაეცემა ფოლკეტინგის საგარეო საქმეთა კომისიას. კომისიაში ხელშეკრულების განხილვის შემდეგ, მოწვეული იქნება ფოლკეტინგის საგანგებო სესია.

რუსეთ-შვეციის ხელშეკრულების გარშემო.

სტოკჰოლმი. 24 აპრილი. შვეციის პრესა ყურადღებით არჩევს რუსეთ-შვეციის ხელშეკრულების საკითხს. ბურჟუაზია წინააღმდეგია ხელშეკრულების საჩქაროდ დადების.

გაზეთი „სოციალ-დემოკრატენი“, ღრმა კმაყოფილებას გამოსთქვამს ხელშეკრულების გამო და მეტად სასარგებლოდ აღიარებს მას.

სხვადასხვა ამბები

ლიტვა

ლიტველ კომუნისტების გამოხსნა.

კოვნო. 25 აპრილი. თანახმად რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობისა პატიმართა გაცვლის შესახებ, ლიტვის მთავრობამ განათავისუფლა ციხეებიდან 15 კომუნისტი, რომელნიც ოჯახებით, მიემგზავრებიან მოსკოვში, რუსეთის საელჩოში განთავისუფლებულთ გაუმართეს სადილი. სადგურამდე გამგზავრებულნი გააცილეს საელჩოს თანამშრომლებმა ამხ. კოჟევნიკოვის მეთაურობით.

უნგრეთი.

კომუნისტების წამება.

ვენა. 21 აპრილი. ბუდაპეშტის კომუნისტების პროცესზე კერძო წარმოებათა მოსამსახურეების კავშირის მდივანმა ალისა ვედიკემ განაცხადა, რომ მას მიაყენეს საშინელი წამება, რომ აეძულებიათ ის გამოტეხილიყო. სოციალ-დემოკრატების ორგანო „ნეპსავა“ ათავსებდა მოკლე მიმოხილვას პროცესის შესახებ და სავსებით არაფერს ლაპარაკობს იმ ძალადობების შესახებ, რომელსაც მიმართავდა პოლიცია დაპატიმრებულთა მიმართ.

ბულგარეთი

არჩევნები პარლამენტში

ვენა 24 აპრილი. საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობა მიიღო მთავრობის გლეხურმა პარტიამ. კომუნისტებმა მიიღეს რამდენიმე მანდატი. სოფიიდან პარლამენტში აირჩიეს ამხანაგები კოლაროვი, კაბაკჩიევი, დიმიტროვი და სხვები.

პოლონეთში

მართლმადიდებელი ეკლესიის დევნა

ვარშავა. 25 აპრილი სეიმის გუშინდელ სხდომაზე დეპუტატმა სერებრენიკოვმა შეიტანა წინადადება მთავრობისათვის სასწრაფო შეკითხვის მიცემის შესახებ ვარშავაში მართლმადიდებელთა ეკლესიის დაშლის დაწყების გამო. სეიმმა უარყო შეკითხვის სასწრაფო ხასიათი.

მარშალი ფოშის შემდეგ რუმინეთის კაროლი

ვარშავა 25 აპრილი. მაისის დამლევს ვარშავაში მოელიან რუმინეთის მეფის ჩამოსვლას.

ფინეთი

კომუნისტების დატუსაღება

ჰელსინგფორსი 25 აპრილი. ფინეთში ამ უკანასკნელ ხანებში დაატუსაღეს ბევრი კომუნისტი. მათ შორის არის ამხ. მიაკინენი.

პოლონეთთან კავშირი საშიშია

ჰელსინგფორსი 25 აპრილი. ეხება რა საგარეო საქმეთა მინისტრის ვენოლას სიტყვას, რომელმაც განაცხადა, რომ თუ ფინეთს რუსეთიდან რაიმე საფრთხე მოევლინა, უნდა მოეწყოს სამხედრო თავდაცვითი კავშირი ფინეთის, პოლონეთის და ბალტიის სახელმწიფოებისა, გაზეთი „ჰუვუდსტადსბლადეტ“ სწერს; საგარეო საქმეთა მინისტრმა სიტყვის დროს სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, ვინაიდან საფრანგეთს ის სურს გერმანიის წინააღმდეგ გამოიყენოსო“

პირველი მაისის დღესასწაული საზღვარ-გარეთ

რუმინიის კომუნისტური პარტია ემზადება 1-ლი მაისის დღესასწაულისათვის

ვენა. 24 აპრილი. რუმინიის კომუნისტური პარტია ენერგიულათ ემზადება 1-ლი მაისის დღესასწაულისთვის და განზრახული აქვს ამ დღეს მოაწყოს დემონსტრაციები ტერორის წინააღმდეგ. გაზეთი „სოციალიზმული“ მოუწოდებს რუმინიის პროლეტარიატს მოაწყონ დემონსტრაციები 8 საათის სამუშაო დღისთვის და აგრეთვე ხელფასის გადიდებისა და საყოველთაო ამნისტიისათვის. კომუნისტურმა პარტიამ მოიწვია პროფკავშირების უმაღლეს საბჭოს სოციალ-დემოკრატების ლიდერები და წინადადება მისცა მათ მიიღონ მონაწილეობა პროლეტარულ ორგანიზაციების თათბირში, სადაც უნდა გაირჩეს 1-ლი მაისის დღესასწაულისათვის საერთო მომზადების საკითხი, მაგრამ აღნიშნულ წინადადებაზე ჯერ პასუხი არ მიუღიათ. მიუხედავათ პროფკავშირთა ლიდერების საბოტაჟისა, სოციალ-დემოკრატ. მუშები დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ კომუნისტების წინადადებას.

სემიონოვის მკვლელების გასამართლება

მოსკოვი. 26 აპრილი. 25 აპრილს მოსკოვის საგუბერნიო სასამართლოს სესიამ გაარჩია მწერალი სემიონოვის მკვლელების საქმე. სემიონოვი მოკლა ვალაკლამშელმა ჩარჩმა, რომელსაც ხელს უწყობდა ადგილობრივი დიაკონი. ჩარჩს, დიაკონს და მკვლელობის სხვა სამ მონაწილეს 10 წლის ციხე მიესაჯა.

[illegible] ტელეგრამები

რუსეთი

რუსეთის მონაწილეობა ესტონეთის გამოფენაში.

მოსკოვი. 26 აპრილი. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაადგინა მიიღოს მონაწილეობა ესტონეთის გამოფენაზე, რომელიც გაიმართება რეველში 2 ივნისს.

სავალდებულო შეტანა სახელმწიფო ბანკში.

მოსკოვი. 26 აპრილი. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ყველა სახელმწიფო და კომუნალური წარმოებები და აგრეთვე სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი წარმოებები ვალდებული არიან შეიტანონ თავიანთი თანხები სახელმწიფო ბანკში, სავაჭრო-სამრეწველო ბანკში, კომუნალურ ბანკებში ან სხვა საკრედიტო დაწესებულებებში, რომელთა სია გამოქვეყნებულია ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ.

ადმინისტრატიული კოდექსი.

მოსკოვი 26 აპრილი. ამ დღეებში თავდება შინაგან საქმეთა სახ. კომი-

სარიატის მიერ ადმინისტრატიულ კოდექსის გამომუშავება. მუხლების უდიდესი ნაწილი უკვე გამომუშავებულია.

მოსკოვის ეპარქიალური ყრილობა.

მოსკოვი. 26 აპრ. მოსკოვში გახსნილ საგუბერნიო ეპარქიალურ ყრილობაზე მოხდა სკანდალიანი გამოსვლა ტიხონოველების, რომლებმაც გამართეს ობსტრუქცია ტიხონის შესახებ რეზოლიუციის ჩასაშლელათ. ეს ობსტრუქცია მთელ დღეს გრძელდებოდა და იმაში მდგომარეობდა, რომ ტიხონოველები ლოცვების გალობით და ქუჩურ გინებით, რომელიც მიმართული იყო არსებულ ეკლესიაზე, ხელს უშლიდენ კრების მსვლელობას. ობსტრუქციამ უნაყოფოთ ჩაიარა და ამიტომ 47-მა ტიხონოველმა დასტოვა ყრილობა.

დარჩენილმა 250 დელეგატმა ხმის უდიდესი მონაწილეობით მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მომავალმა საეკლესიო ყრილობამ გადაჭრით უნდა მოუღოს ბოლო თავად აზნაურულ თვითმპყრობელობის მიერ ეკლესიის დამონავებას. ყრილობამ აღიარა, რომ ტიხონის პოლიტიკა ეყრდნობოდა თვითმპყრობელობის აღდგენის იმედს, ეს პოლიტიკა საზიანო იყო ეკლესიისათვის და უამრავ მსხვერპლს იწვევდა.

გლეხები და საჰაერო ფლოტი.

ოდესა 23 აპრილი. ავიდიოპოლის თემის გლეხებმა დასთმეს 25 დესეტინა მიწა საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ.

გემების ამოსაღები მუშაობა.

მოსკოვი. 24 აპრილი. შავ და თეთრ ზღვაზე და აგრეთვე ჩრდილოეთის ყინულიან ოკეანეზე ნავიგაციის განახლების დროს განზრახულია გემების ამოსაღებათ დიდი მუშაობის დაწყება. არხანგელსკის ნავსადგურში განზრახულია 1918 წელში წითელი სპილენძის დიდი რაოდენობით ჩამოსული რამდენიმე გემის ამოღება.

პირველი მაისი—რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარების დღე.

მოსკოვი. 24 აპრილი. რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოება მრავალ ცნობებს იღებს იმის შესახებ, რომ პროვინცია მზათ არის პირველი მაისი ჩაატარონ ევროპის ციხეებში დამწყვდეულ რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარების ლოზუნგის ქვეშ.

სამხედრო-საზღვაო კომისარების თათბირის ამოცანები.

მოსკოვი. 24 აპრილი. სრულიად რუსეთის საზღვაო და სამხედრო კომისარების თათბირის სახელზე გაგზავნილ წერილში, ამხ. ტროცკი იმედს გამოსთქვამს, რომ თათბირი ხელს შეუწყობს ჩვენი წითელი ფლოტის მოწყობის, გაუმჯობესების და მოწესრიგების საქმეს. წითელი ფლოტისა და წითელი არმიისათვის, ამბობს ამხ. ტროცკი, ჩვენ გვესაჭიროება პერსპექტიული პროგრამა, ნავარაუდევი არა ნაკლებ ხუთი წლისათვის. მხოლოდ ასეთი პერსპექტივების ფარგლებში შესაძლებელია სახელმწიფო კრედიტების მიზანშეწონილათ გამოყენება და წითელი ფლოტის უზრუნველყოფა გაწვრთნილი და განვითარებული შემადგენლობით. ასეთი ხუთწლიანი გეგმის გამომუშავება უნდა ხდებოდეს არა მარტო კანცელიარული გზით, არამედ ფლოტის ცოცხალი ელემენტებს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებითაც და მიღებული გამოცდილების აღრიცხვით.

რადიო სადგურები ახალ მიწაზე.

მოსკოვი. 24 აპრილი. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი კუნძულ ახალ მიწაზე, მიმდინარე წელს დგამს ორ რადიო სადგურს.

სააგიტაციო აეროპლანი.

დონის-როსტოვი. 23 აპრილი. საპირველმაისო კომპანიის გასატარებლად როსტოვიდან დონის ოლქში იგზავნება აეროპლანები, სააგიტაციო ლიტერატურით.

რ. კ. პ. ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 25 აპრილი. ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმმა პირველ სხდომაზე აირჩია ც. ს. კ. პრეზიდიუმი. ც. ს. კ. თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. კუიბიშევი, პრეზიდიუმის წევრებათ ამ-ბი: იაროსლავსკი, კისელევი, გუსევი, იანსონი, ილინი, შვარცი, სოლტი, შკირიატოვი; კანდიდატებათ—ამხ-ბი კრილოვი, კოროსტელევი, პოზერნი, შვერინგი და ჩუდსკაია. რ. კ. პ. წევრების მიერ პარტიის წესდების დარღვევის საქმეების გასარჩევად გამოყოფილია ცალკე კომისია, რომელშიც შევიდენ ამ-ბი სოლტი, შკირიატოვი, კრივოვი, ჩემტოვი პანოვი, კრიმინი, ციხონია. პლენუმმა დაავალა ც ს კ. წევრებს წარმოადგინონ პრეზიდიუმში თავისი მოსაზრებები კომისიის მუშაობის შესახებ, პრეზიდიუმს კი გამოიმუშაოს დებულება ც. ს. კომისიის და აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ.

პრეზიდიუმს დაევალა აგრეთვე შეადგინოს გეგმა ც. ს. კ. წევრების სხვა სამუშაოდან მოხსნის შესახებ კომისიაში სამუშაოდ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. კუიბიშევი.

ც. ს. კ. შემდეგი პლენუმი გაიხსნება ივნისის პირველ რიცხვებში.

კომინტერნში

გერმანიის კომპარტიაში

პრუსიის კონფერენცია.

1—2 აპრილს გაიმართა გერმანიის კომპარტ. აღმოსავლეთ-პრუსიის ორგანიზაციის საოლქო კონფერენცია, რომელზედაც დაესწრო 68 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 21 დელეგატი სათათბიროთი. როგორც სჩანს ორგანიზაციის პოლიტიკურ ანგარიშიდან კომუნისტებმა მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებას პროფკავშირებში, რაც გამოიხატა იმაში, რომ მთელი რიგი პროფკავშირებისა გზავნიდა დელეგატებად მხოლოდ კომუნისტებს უკანასკნელმა მუნიციპალურმა არჩევნებმა მისცა კომუნისტებს 15 ახალი მანდატი. ორგანიზაციების რიცხვი იზრდება, უკანასკნელ ხანებში დაირაზმა 20 ახალი კომუნისტური ჯგუფი.

კონფერენციამ ერთხმად მოიწონა რეზოლიუცია, რომელიც მიღებული იყო პარტიულ ყრილობაზე ლეიპციგში. აღმოსავლეთ-პრუსიის საოლქო კონფერენცია ულაპარაკოთ იზიარებს გერმანიის კომპარტიის ლეიპციგის ყრილობის თვალსაზრისს. იგი ჰკიცხავს ოპოზიციის პოლიტიკურ მოქმედებას, რომელიც ხელს არ უწყობს ერთიანი ფრონტის გატარებას და მასსების თავის მოყრას კლასთა ბრძოლის საწარმოებლად იგი საჭიროთ სთვლის, რათა ყველა უთანხმოებანი, რამდენადაც ისინი ჯერ ამოწურული არ არიან, უნდა იქნას გადაწყვეტილი სრული დისციპლინის და ამხანაგური ურთიერთობის სახით".

კომუნისტების ბრძოლა ბავარიაში.

კომუნისტების დევნა ბავარიაში ძალიან გაძლიერდა. ბავარიის მთავრობა მუშაობს ფაშისტებთან სრულ შეთანხმებით მაგრამ ამ რეპრესიების შედეგები სულ საწინააღმდეგოა იმ ამოცანებისა, რომელიც დაისახა ბავარიის მთავრობამ. ბავარიის კომუნისტებმა ჩაატარეს ენერგიული ბრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ; ჩრდილოეთ ბავარიაში გამართულ 60 მრავალრიცხოვან კრებებზე კომუნისტების მოწოდებამ ფაშიზმის წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლისაკენ, იპოვა გამოხმაურება მუშათა ფართო მასებს შორის. როგორც სჩანს სხვა და სხვა ორგანიზაციების ანგარიშებიდან, პარტიის წევრთა რიცხვი იზრდება. მთელ რიგ ადგილებში დაარსდენ ახალი კომუნისტური ჯგუფები. აგრეთვე წარმატებით მიმდინარეობს პროლეტარულ თავდაცვის ორგანიზაციის საქმე. მიუხედავათ პროფკავშირთა დემოკრატიის საბოტაჟისა, პროლეტარულ თავდაცვის რაზმები ეწყობიან მრავალ პროფკავშირებში.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

კონფერენცია.

მოსკოვი. 23 აპრილი. პროფინტერნის აღმასრულებელი ბიურო 25 მაისს იწვევს მელითონეების სამთომადნო წარმოების და ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო კონფერენციას. კონფერენცია მოწვეული იქნება ფაშიზმთან ბრძოლის კონფერენციასთან ერთად.

ასწორებენ შეცდომებს.

ვენა. 24 აპრილი. 15 აპრილს ლეიბახში შესდგა სამხრეთ-სლავეთის კომპარტიისაგან ჩამოშორებული სლოვენთა ჯგუფის კონფერენცია. კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც კიცხავს კომპარტიისაგან ჩამოშორებას. კონფერენციამ დაადგინა დაშლილათ გამოაცხადოს სოციალისტური პარტია და შეუერთდეს დამოუკიდებელ მუშათა პარტიას. დასასრულ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია ერთიანი ფრონტის შესახებ, რომელიც კიცხავს ამ ლოზუნგის წინანდელ გაგებას,

რევოლიუციონური გზით.

პარიზი. 24 აპრილი. საფრანგეთის ლითონზე მომუშავეთა ნაციონალურმა საბჭომ დაადგინა შეუერთდეს წითელ მელითონეთა კავშირების საერთაშორისო გაერთიანებას.

მწარმოებლებმა ლოკაუტი გამოაცხადეს.

პარიზი. 23 აპრილი. მკერავ მუშათა ფასის თქმის გამო შესწყვიტონ გაფიცვა, სამკერვალო მრეწველების მწარმოებელთა კავშირმა გამოაცხადა ლოკაუტი.

მწარმოებელნი ნებდებიან.

პარიზი. 24 აპრილი. სამკერვალო მრეწველობის მწარმოებლებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან მოლაპარაკება დაიწყონ გაფიცვის კომიტეტთან.

ხელფასის შემცირების წინააღმდეგ.

ლონდონი. 24 აპრილი. მანქანების საამშენებლო მრეწველობის ინგლისელ მუშების კავშირის აღმასკომმა დაადგინა არ მისცეს ხმა რკინის გზის საზოგადოებათა წინადადებას რკინის გზის სახელოსნოს მუშებისათვის ხელფასის შემცირების შესახებ.

უნგრეთი

მუშები თავისას მოითხოვენ.

ვენა 23 აპრილი. ტემეშვარის გაფიცულმა მუშებმა უარი განაცხადეს სოციალ-დემოკრატების ლიდერებსა და მწარმოებელთა შორის მიღწეულ შეთანხმებას ცნობაზე, რომლის ძალითაც მუშები მიიღებენ სულ 20 პრ. მომატებას და დაადგინეს განაგრძონ გაფიცვა თავიანთ ძველ მოთხოვნილების სრულ დაკმაყოფილებამდე, ხელფასის 80 პროცენტით, გადიდების და 8 საათის სამუშაო დღის დაცვის შესახებ.

პირველი მაისისათვის

საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის 1 მაისის დღესასწაული

დღესასწაულის წესრიგი:

დილის 9 საათზე.

ყველა მუშათა ორგანიზაციები და სამხედრო ნაწილები ორკესტრებით, მომღერალ—გუნდებით და სხვ. იკრიბებიან თავიანთ რაიონებში და მიემართებიან, **ხუდადოვის ტყეში** სადაც **დილის 11 საათზე გაიმართება მიტინგი.**

შუადღის 12 საათზე. საერთო საუზმე.

მომღერალ გუნდთა, ორკესტრების, პოლიტიკ ტიკინები და სხვ. გამოსვლები.

დღის 2 საათზე.

სასპორტო სათამაშოები შემდეგი პროგრამით:

1 განყოფილება: თავისუფალი მოძრაობანი—მონაწილეობენ კომანდები: კავკას. კურსანთა მე-2 სკოლა, 21 სკოლა, 9-ე, პოლკი და „სპარტაკის" საზოგადოება და ბავშვთა ჯგუფი.

2-ე განყოფილება: გვერდით მდებარე პლაცზე.

ა) მძიმე ატლეტიკა—მუშათა ორგანიზაც. სანიმუშო ვარჯიში.

ბ) ბოქსი. გ) ფრანგული ჭიდაობა საზოგადოებიდან თავისუფალ მსურველთა მონაწილეობით.

დ) ფარიკაობა—21 სკოლა, კავკ. კურს. 2-ე სკოლა, სპარტაკი და სხვ.

ე) **ხიშტით ბრძოლა**—ამიერკავკ. საგანგებო კომისიის **55 დივიზიის** სანიმუშო ვარჯიში.

3-ე განყოფილება:

1) სირბილი ფეხებ შეკრ. 6 კაცი—

2) ბაწრის გადაჭიმვა 10 კ.

3) სირბილ სისწრაფეზე—3 კაცი.

4) სირბილი ტომრით—8 კაცი.

5) სპილოების ბრძოლა—6 კაცი.

6) ციგნების ჭიდაობა—4 კაცი.

სამხედრო ნაწილი:

სასწავლო პოლკი, მე-9 პოლკი, რკ გზის მე-10 პოლკი, სანიტ. ბატალ., საქართვ. შერეული სკოლა, 21 სკოლა, კავკ. კურს. მე-2 სკოლა და ყველა მუშათა ორგანიზაციებიდან.

დღის 4 საათზე.

მასიური წარმოდგენები.

მე-2 პუნქტში.

1) საერთაშორისო მიმოხილვა სამხედრო-სასწავლებელთა და ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მონაწილეობით.

ჯგუფები: ანტანტა, ფაშიზმი, რური და სხვ. აპოთეოზი.

2) რევოლიუციის ეტაპები საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კლუბის, რკინის გზის 9 და 10 ე პოლკების სასწავლ კადრების, კავ. ბრიგადის, ტყვეულობის ქარხნების მუშათა და კავკასიის ცალკე არმიის საბავშვო სახლის მონაწილეობით.

ა) სურათი—თვითმპყრობელობის ჩამოგდება.

ბ) სურათი ოქტომბრის რევოლიუცია.

გ) სურ. შიმშილი.

დ) სურ. აპოთეოზი.

ჩ ა ი.

საღამოს 7 საათზე.

კინო—სეანსები.

1 მაისის დღესასწაულის მომწყობი ცენტრალური კომისია.

მარშრუტი რაიონების მსვლელობისა 1 მაისის დღესასწაულის ადგილისაკენ

1 რაიონი—თავის მოყრა—1 რაიკომთან. მსვლელობა—ჩერქეზიშვილის ქ., პავლოვის ქ და ხუდადოვის ტყე.

2 რაიონი—თავის მოყრა—ჯაფარიძის მოედანზე. მსვლელობა—ჩერქეზიშვილის ქ., პავლოვის ქ. და ხუდადოვის ტყე.

3 რაიონი—თავის მოყრა—კახეთის მოედანზე. მსვლელობა—ციციანოვის დაღმართი, 19 თებერვლის ქუჩა, მიხეილის პროსპექტი, კირკის შესახვევი, ჩერქეზიშვილის ქ., პავლოვის ქ. და ხუდადოვის ტყე.

4 რაიონი—თავის მოყრა—რაიკომთან (რუსთაველის 22). მსვლელობა—ვერის ხიდი, კირკის ქუჩა, ჩერქეზიშვილის ქუჩა, პავლოვის ქუჩა და ხუდადოვის ტყე.

რაიონებში მიტინგები არ გაიმართება.

პირველი მაისის დღესასწაულის მომწყობი ცენტრალური კომისია.

შაბათს, 28 აპრილს, დილის 11 საათზე შესდგება პირველი მაისის დღესასწაულის მომწყობი კომისიის სხდომა.

სხდომაზე მოწვეული არიან რაიკომების მდივნები, კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურ სამმართველოს, ქართული დივიზიის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების, ქალაქის აღმასკომის, სახალხო განათლების განყოფილების, პოლიტიკურ-განმანათლებელი განყოფილების. ახალგაზრდობის კომკავშირის, ქალთა-განყოფილების, ქალაქის საკომენდანტოს, ხელოვნების მუშაკთა კავშირის და პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები.

სავალდებულოა კომისიის ყველა წევრების დასწრება

კომისიის თავმჯდომარე: ესხენი.

პირველი მაისის დღესასწაულის ჩასატარებლად

ტფილისში

საქ. კომ. პარ. ტფ. კომიტეტი აცხადებს შემდეგ ამხანაგების მობილიზაციას:

1. ორჯონიკიძე, 2. ბერეზინი, 3. ელიავა, 4. კრუგლიკოვი, 5 ორახელაშვილი, 6. სუტირინი, 7. მახარაძე, 8. სნეგიროვი, 9. ერქომაიშვილი, 10. ქუკი, 11. ოკუჯავა ნიკოლოზ, 12 მიასნიკოვი, 13. პოლიანსკი, 14. ვირაპი, 15. აბრამოვი, 16. ხანოიანი, 17. იდლონი, 18. კასიან, 19. კოსოვოი, 20. ტაკოევი, 21. ივანოვი, 22. გინზბურგი, 23. ვინოგრადოვი, 24. არაქელ, 25. ვაშაკიძე, 26. პოვერმანი, 27. ლეჟავა, 28. ფირცხალავა, 29. ეგოროვი, 30. კახიანი მიხეილ, 31. ჯაჯალავა, 32. ეგოკოვი, 33. რუბენი, 34. ივანოვი-კავკასკი, 35. ჟღენტი, 36. ტოროშელიძე, 37. დმიტრენკო, 38. ტალიბლი, 39. სიაჩიკი, 40. გუსეინოვი, 41. ბახუტოვი, 42. იაროვი, 43. ქართველიშვილი, 44. მარქარიანი, 45. მედვედიევი, 46. ავაკოვი, 47. ქავთარაძე ლადო, 48. ვართაპეტიანი, 49. კურულაშვილი, 50. ნოვოსელსკი, 51. ჩხენკელი, 52. რომანოვი.

ყველა ორატორებს წინადადება ეძლევა დილის 10 საათზე გამოცხადდენ დღესასწაულის ადგილზე (ხუდადოვის ტყე) ცენტრალური კომისიის კავშირით.

საქ. კომ. პ. ტფ. კომ. საპ.-სააგ. განყოფილების გამგე: მ. **ესხენი.**

პროვინციებში

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სეკრეტარიატის დადგენილებით პროვინციაში პირველი მაისის დღესასწაულის ჩასატარებლათ გამოცხადებულია შემდეგი ამხანაგების მობილიზაცია:

ჟღენტი თენგიზი, მახარაძე დავითი, მჟავანაძე, ლეჟავა ნოე, ნასარიძე დავით. კობახიძე აკაკი, გაგლოევი, მამულაიშვილი, იოვიძე, ჯუღელი, გოგიტაშვილი, ხანოიანი და ერქომაიშვილი. ყველა ეს ამხანაგები შაბათს, 28 აპრილს დღის 12 საათზე უნდა გამოცხადდენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მდივანი ი. **შაქაროვი.**

ჩვენი კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

სიცივეების შედეგი.

ს. აძიუბჟა. (კოდორის მაზრა) 22 აპრილს სიცივეებმა რაიონში დიდი ზარალი მიაყენა ვენახს და ატმის ხეებს. სხვა ხილის ხეები, რომლებმაც ვერ მოასწრეს აყვავება, არ დაზარალებულან.

წყალდიდობის მოლოდინში.

სოფ. აძიუბჟა, კოდორის მაზრა, 22 აპრილი, აძიუბჟის თემის განკარგულებაში მყოფ მიწას მდ. კოდორის ზღვასთან შესართავთან, წყალდიდობის საფრთხე მოელის. წარსულ წელს მდინარე კოდორის წყალდიდობის დროს წყალმა დაფარა 15 დესეტინი მიწა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობას. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება.

პიცუნდის ტყეები.

ხოხუმი. 25 აპრილი. სახელმწიფო გემების სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა მიწად მოქმედების კომისარიატის წინაშე პიცუნდის ტყეებში 500 დესეტინა ტყის დათმობის შესახებ საექსპლოატაციოდ. მიწადმოქმედების კომისარიატმა სახელმწიფო გემების სამმართველოს დაუთმო 200 დესეტინა ტყე. თითეულ კუბიკურ საჟენ შეშაზე გემების სამმართველომ უნდა გადაიხადოს 3 მ. 50 კ. ოქროთი.

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

ხოხუმი. 25 აპრილი. მიწად-მოქმედების კომისარიატის კოლეგიამ სატყეო განყოფილების გამგეს წინადადება მისცა შეადგინოს პროექტები: ტყეების დაცვის და საბჭოთა მეურნეობის შესახებ და გამონახოს საშვალებები ამ მეურნეობის ასამაღლებლად, გამოიმუშაოს აგრეთვე ბრძანების პროექტი მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ. კომისარიატი წინადადებას აძლევს მიწის განყოფილებების ყველა გამგეებს არ გადაახდევინოს გადასახადი საძოვარ ადგილებზე, გარდა იმ ადგილებისა, რომელსაც იჯარით სცემს მიწად-მოქმედების სახკომის სატყეო განყოფილება.

სახურხათო ულუფა.

ხოხუმი. 25 აპრილი. აფხაზეთის ეკონომიური თათბირის უკანასკნელმა სხდომამ დაადგინა დააწესოს მომარაგების ერთი ნორმა სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეებისათვის—2 ფუთი ხორბალი ან 4 ფ. სიმინდი თვეში

სომხეთი

ოვ. თუმანიანის სახელობის ქუჩა.

ერევანი. 26 აპრილი. ერევნის ქალაქის აღმასკომმა დაადგინა დუმანის ქუჩას ეწოდოს ოვ. თუმანიანის ქუჩა.

ბამბის რაიონებში.

ერევანი. 26 აპრილი. თანახმად აღმასკომის გადაწყვეტილებისა დაზარალებული რაიონები, სადაც დაითესება 75 პროც. ბამბა, განთავისუფლდება მიწის გადასახადებისაგან.

დაგვიანებული სიცივეები.

ერევანი. 26 აპრილი. ზოგიერთ მაზრებში მოსული თოვლი გლეხობას ხელს უშლის შეუდგნენ ყანების დამუშავებას. ალექსანდროპოლში კვლავ მოვიდა თოვლი. თოვლისა და ქარბუქის დროს დაიღუპა 150 თავი საქონელი.

პარტიული ცხოვრება

ამა თვის 29-დან ტფილისის საგანგებო დანიშნულების ნაწილების

უფშემადგენლობა იწყებს მეცადინეობას 1-ლ და მე-2 რიგის და სამხედრო მომზადების ყველა ხარისხების მილიციის პარტიულ ამხანაგებთან, ამასთან ამიერ-კავკასიის კომ. უნივერსიტეტის მსმენელებთან და კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრებთან დილის 7—9 ს.-დე, დანარჩენებს კი 8 ნახ.—12 ს-დე.

შესაკრები პუნქტი 1-ლ რაიკომისთვის ჩერქეზიშვილის და იურევის ქ. კუთხე, მე-2 ე რაიკომისთვის კირკის და მიხაილოვის კუთხე, გერმანულ კირკის მოედანზე, მე 3-ე რაიკომისა და მე-5-ე ქვერაიონისთვის ყოფილ სამხედრო სობოროს ეზო.

ტფ. კომიტ. აცხადებს რა ზემოაღნიშნულს, წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ამხანაგს მოვიდნენ მეცადინეობაზე. ვინც არ გამოცხადდება, იქნება მიცემული პასუხისგებაში პარტდისციპლინის წესით

ც. კ. საორგანიზაციო ანგარიში

ამხ. სტალინის მოხსენება

პარტიის გარშემო უნდა მოეწყოს უპარტიო მასიურ აპარატების ფართე ქსელი.—მთავარი გამაერთიანებელი ძალა—პროფკავშირებია.—ერთი წლის განმავლობაში ისინი გამოცოცხლდენ და გამაგრდენ.—სამომხმარებლო კოოპერაცია აერთებს მშრომელთა ფართე წრეებს.—ახალგაზრდობის კავშირი კოლოსალურად გაიზარდა მოზარდთა თაობის ხარჯზე.—ჩვენი პრესა უფრო ცოცხალი ძალა ხდება. არსებობს საკუთარი საშუალებებით და წარმოადგენს მძლავრ იარაღს პარტიის ხელში.—არმია—უდიდესი აპარატია, რომელიც აკავშირებს პარტიას გლეხობასთან კომუნისტების პროცენტი ჯარში 7,5 პროცენტიდან 10,5 პროცენტამდი გაიზარდა.—ჩვენი პოლიტიკა სწორია. შოფერი საუცხოოა, მანქანა კარგია, მაგრამ შემადგენელი ნაწილები არ არის ჩვენი.—ჩვენს სახელმწიფოში არ უნდა დარჩეს არც ერთი მოხელე—ბიუროკრატი, რომლის შესახებ უბრალო მოქალაქე იტყვის: „მის წინააღმდეგ არ არის არავითარი სამართალი!"—სამაზრო პარტიული აპარატები სუსტია. პარტიის ძირითად ამოცანას შეადგენს მომავალი წლისათვის მოამზადოს სამასი სამაზრო მდივანის რეზერვი

ჩვენი პარტია ელასტიურია, შეკავშირებულია და წინ მიდის.

ც. კ. საორგანიზაციო ანგარიში, ასე იწყებს თავის სიტყვას ამხ. სტალინი, უნდა შესდგებოდეს სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში უნდა შევეხოთ პარტიის იმ ორგანიზაციულ კავშირს მუშათა კლასთან, იმ მასიური ხასიათის აპარატებს, რომლებითაც გარშემოკრულია პარტია და რომელთა საშუალებითაც პარტია ანხორციელებს თავის ხელმძღვანელობას მუშათა კლასზე, მუშათა კლასი კი იქცევა პარტიის არმიათ. ანგარიშის მეორე ნაწილში, ჩემის აზრით, უნდა შევეხოთ იმ საორგანიზაციო კავშირს და იმ მასიური ხასიათის აპარატებს, რომლის საშუალებითაც მუშათა კლასი კავშირს აბამს გლეხობასთან,—ეს არის სახელმწიფო აპარატი, რომლის საშუალებითაც მუშათა კლასი პარტიის მეთაურობით ანხორციელებს თავის ხელმძღვანელობას გლეხობაზე. მესამე, უკანასკნელი ნაწილი ეხება თვით პარტიას, რომელიც თავისებური ცხოვრებით ცხოვრობს, და როგორც აპარატს, რომელიც იძლევა ლოზუნგებს და თვალყურს ადევნებს მათ განხორციელებას.

შემაერთებელი ძალები

მე გადავდივარ ანგარიშის პირველ ნაწილზე. მე ვლაპარაკობ პარტიაზე, როგორც ავანგარდზე და მუშათა კლასზე, როგორც პარტიის არმიაზე. ანალოგიის მიხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს აქ ისეთი დამოკიდებულება იყოს, როგორც სამხედრო სფეროში, ე. ი. პარტია იძლევა ბრძანებას, მუშათა კლასი კი ანხორციელებს მათ. მაგრამ ეს წარმოდგენა არავითარ შემთხვევაში არ არის სწორი. აქ, საქმე უფრო პოლიტიკურ სფეროში, რთულია. საქმე იმაშია, რომ სამხედრო დარგში, ჯარს ქმნის თვით სარდლობა, აქ კი, პოლიტიკურ სფეროში, პარტია თავის არმიას კი არ ქმნის, არამედ მას ქმნის თვით მუშათა კლასი მეორე განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სამხედრო დარგში სარდლობა არა მარტო ქმნის ჯარს, არამედ თვით ასაზრდოებს და აცმევს მას. პოლიტიკურ სფეროში კი ასეთ მოვლენებს ადგილი არა აქვს.

პარტია მუშათა კლასს არ კვებავს და არ აცმევს აქ საქმე უფრო რთულია. თუ პარტია არ ქმნის არმიას, არ კვებავს და არ აცმევს მას, არა კლასია დამოკიდებული პარტიისაგან, არამედ წინააღმდეგ.

სწორეთ ამიტომ აქ, პოლიტიკურ სფეროში, იმისათვის, რათა განხორციელდეს კლასის ავანგარდის ე. ი. პარტიის ხელმძღვანელობა აუცილებლათ **საჭიროა, რომ პარტია გარს შემოხვეული იყოს უპარტიო მასიურ აპარატების ფართე ქსელით, რომლებიც პარტიის ხელში ერთგვარ სასწორებს წარმოადგენენ და რომელთა საშუალებით პარტია აძლევს თავის ნებისყოფას მუშათა კლასს და მუშათა კლასი კი პარტიის არმიათ იქცევა.** როგორია ეს აპარატები, ეს შემაერთებელი ძალები, რომლებიც პარტიას კლასთან აკავშირებენ? როგორია ეს აპარატები და რა მოიმოქმედა პარტიამ ერთი წლის განმავლობაში ამ აპარატების გასამაგრებლათ?

პროფკავშირები

პირველი ძირითადი შემაერთებელი ძალა, ძირითადი შუამავალი აპარატი, რომლის საშუალებით პარტია მუშათა კლასს უკავშირდება, არის პროფკავშირები. თავისი მოღვაწეობის ერთი წლის განმავლობაში პარტიამ გააძლიერა, გაამაგრა თავისი გავლენა კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში. მე არ ვეხები სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს. მის შემადგენლობას ყველა იცნობს. მე უმთავრესათ მხედველობაში მაქვს ქალაქების პროფკავშირთა საბჭოები, სადაც შარშან, ჩვენი პარტიის მე-XI ყრილობისათვის ოქტომბერზე ადრე სტაჟიანი ქალაქების პროფკავშირთა საბჭოების თავმჯდომარენი—26 პროც. შეადგენდენ. წელს კი 57 პროცენტი. მეტს წარმატება ძალიან დიდი არ არის, მაგრამ ის მაინც წარმატებაა, რომელიც მოწმობს, რომ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ ელემენტებს ოქტომბრის წინა სტაჟიანებს ხელთ უჭირავთ კავშირთა ძირითადი ძაფები, რომელთა საშუალებით ისინი აკავშირებენ პარტიას მუშათა კლასთან.

შემდეგ ციფრები მოწმობენ, რომ შარშანდელ ყრილობისას კავშირებში ირიცხებოდა 6 მილიონი წევრი, წელს კი ეხლანდელ ყრილობისას—4 მილიონი და 800 ათასი. თითქოს ეს ნაბიჯს უკან წარმოადგენს, მაგრამ ეს მხოლოდ ეგრე სჩანს, რადგან შარშან ნება მომეცით ვთქვა სიმართლე, კავშირები გაბერილ სიდიდეს წარმოადგენდენ. ციფრებს მაშინ არავითარი კავშირი არ ჰქონდა სინამდვილესთან, იმასთან რაც ცხადლივ ხდებოდა. ციფრი, რომელიც ჩვენ ეხლა გვაქვს, თუმცა შარშანდელზე ნაკლებია, სამაგიეროთ ის უფრო რეალურია, უფრო ცოცხალი, რადგან ის მეტყველებს არა გაბერილ კავშირებზე და გაბერილ წევრებზე, არამედ ცოცხალი კავშირებსა და ცოცხალ წევრებზე. ერთის მხრით პროფკავშირთა გადაქცევა გაბერილ კავშირებიდან ნამდვილ ცოცხალ კავშირებათ, რომლებიც საერთო ცხოვრებით არსებობენ თავიანთ ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთათ და, მეორე მხრით კავშირთა საგუბერნიო ორგანოებში პარტიის ხელმძღვანელ ელემენტების პროცენტული გაზრდა—57-დან 60-მდე,—აი ის წარმატება, რომელიც მივიღეთ ჩვენ ამ წლის განმავლობაში ამ დარგში ჩვენი პარტიის მუშაობაში, პარტიისა და კლასის შორის მდგომ შემაერთებელ ძალის გამაგრებაში. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ამ დარგში ყველაფერი კარგათ იყოს. ხარკოვის გუბერნიაში არსებულ 146 ფაბქარხკომის შორის სამოცდაათი ფაბქარხკომის შემადგენლობაში არ იმყოფება არც ერთი კომუნისტი. მაგრამ ეს—თითო ოროლა მოვლენა, საერთოთ უნდა ვაღიაროთ, რომ პროფკავშირთა განვითარება პარტიის გავლენის განმტკიცების თვალსაზრისით, როგორც საგუბერნიო, ისე ქვედა იაჩეიკებში უეჭველათ დაწინაურდა.

ეს ფრონტი შეიძლება ყველგან ჩაითვალოს პარტიისათვის უზრუნველყოფილათ. აქ მოწინააღმდეგები ჩვენ თითქმის არა გვყავს.

კოოპერატივები

მეორე შემაერთებელი ძალა, მეორე მასიურ ხასიათის შემაერთებელი აპარატი, რომლის საშუალებით პარტია კლასთან არის გადაბმული,—არის კოოპერატივები. პირველ ყოვლისა მე მხედველობაში მაქვს სამომხმარებლო კოოპერატივები, მათი სამუშაო ნაწილები. შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომლითაც ისინი სოფლის ღარიბ მოსახლეობას ემსახურებიან, ციფრები ამბობენ, რომ მე-11 ყრილობისათვის „ცენტროსოიუზი"-ს მუშათა სექციებში 3 მილიონი კაცი ირიცხებოდა. წელს, ამ ყრილობისთვის არის ერთგვარი მომატება—3.300.000 კაცი, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ ჩვენს პირობებში, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში ეს არის ნაბიჯი წინ. თუ ყოველ მუშის ოჯახზე 3 წევრს ვიანგარიშებთ. ე. ი. 9 მილიონს—**9 მილიონი მუშათა მოსახლეობისა, რომელიც ჩართმულია როგორც მომხმარებლები სამომხმარებლო კოოპერაციის გარშემო, სადაც პარტიის გავლენა დღითი დღე იზრდება—ეჭვს გარეშეა, ეს არის ნაბიჯი წინ.**

ციფრები ამბობენ, რომ წარსულ ყრილობისას ჩვენ არ გვქონდა ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენათ თვალსაჩინო იყო პარტიულ ძალების გავლენა სამომხმარებლო კოოპერაციაში უთუოდ იგი 3—5 პროცენტით გამოიხატებოდა, მეტი არა. ამ ყრილობისათვის კი ჩვენ უკვე გვყავს „ცენტროსოიუზი"ს საგუბერნიო ორგანოებში არა ნაკლებ 50 პროც. კომუნისტებისა. ცოტა უფრო ცუდათ მდგომარეობს საქმე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში. თვითონ ეს კოოპერატივები უეჭველათ იზრდებიან. შარშან, ყრილობის დროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები აერთიანებდენ არა ნაკლებ 1.700.000 გლეხურ მეურნეობას, ამ ჟამათ კი, ამ ყრილობის დროს ისინი აერთიანებენ არა ნაკლებ 4.000.000 გლეხურ მეურნეობას. აქ არის ღარიბ გლეხობის ნაწილი და ამიტომ საინტერესოა, როგორ იზრდებოდა პარტიის გავლენა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დარგში. შარშანდელი ციფრები ჩვენ არა გვაქვს. წელს კი როგორც სჩანს (თუმცა ეს ციფრები მე საეჭვოთ მიმაჩნია) კომუნისტები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საგუბერნიო ორგანოებში 50 პროცენტს შეადგენენ. თუ ეს მართალია ეს კოლოსალური ნაბიჯია წინ. უფრო ცუდათ არის საქმე ქვედა ფენების იაჩეიკებში, სადაც ჩვენ აქამდე ვერ შევძელით პირველ რიგის კოოპერატივების განთავისუფლება მტრულ ძალების გავლენისაგან.

ახალგაზრდობის კავშირი

კლასისა და პარტიის მესამე შემაკავშირებელი შუამავალი ძალაა—ახალგაზრდობის კავშირი. ზედმეტია აქ იმის დასაბუთება თუ რა კოლოსალური მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის კავშირს და, საზოგადოთ, ახალგაზრდობის ჩვენი პარტიის განვითარებისათვის. ციფრები, რომლებიც ჩვენ განკარგულებაშია, მოწმობენ, რომ შარშან წარსულ ყრილობისას ახალგაზრდობის კავშირს შეადგენდა არა ნაკლებ 400.000 წევრისა. შემდეგ, 22 წლის შუა თვეებში შემცირება დაიწყო; მაშინ, როდესაც ახალგაზრდობის კავშირს ჯერ არ შეეძლო ახალ პირობების შეგუება წევრთა რიცხვი დაეცა 200 000 კაცამდე. ამ ჟამათ კი და განსაკუთრებით წარსული წლის შემოდგომას ჩვენ მივიღეთ ახალგაზრდობის კავშირის კოლოსალური ზრდა: კავშირში შედიოდა არა ნაკლებ 400.000 წევრისა. **განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ ახალგაზრდობის კავშირები იზრდებიან პირველ ყოვლისა მუშურ ახალგაზრდობის წრეებში.** მათი ზრდა სჩანს იმ რაიონებში, სადაც ფეხზე დგება ჩვენი მრეწველობა. თქვენ იცით, რომ ახალგაზრდობის კავშირის ძირითადი მოღვაწეობაა—საქარხნო და საფაბრიკო სკოლები. ციფრები ამ დარგში გვეუბნებიან, რომ წარსულ წელს მე-11 ყრილობისას, ჩვენ გვქონდა დაახლოვებით 500 საქარხნო და საფაბრიკო სკოლა 44 ათასი წევრთა რაოდენობით, ამ წლის იანვარში კი ჩვენ გვაქვს 700 სკოლაზე მეტი 50 ათას წევრთა რაოდენობით. მაგრამ თავი და თავი ის არის, რომ მომატება ხდება ახალგაზრდობის კავშირების მუშათა შემადგენლობაში. ეს ფრონტი, როგორც აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ფრონტიც განსაკუთრებით სახიფათოა, ვინაიდან ჩვენი პარტიის მოწინააღმდეგეები იერიშებს ამ დარგში განსაკუთრებულ ენერგიით სწარმოებს, და სწორეთ აქ, ამ ორ დარგში აუცილებლათ საჭიროა, რომ პარტიამ, მისმა ორგანიზაციებმა იხმარონ ყოველგვარი ღონისძიება, რომ ამ ფრონტებზე უზრუნველყოფილი იქნეს პარტიის გავლენის ბატონობა.

მუშა-ქალები

შემდეგ მე გადავდივარ მუშა-ქალთა სადელეგატო ყრილობებზე. ეს არის, თუმცა, შეიძლება, ნაკლებათ შესამჩნევი ჩვენი ორგანიზაციებისათვის, მაგრამ **ფრიად მნიშვნელოვანი, არსებითი ელემენტი, რომელიც აკავშირებს ჩვენს პარტიას მუშათა კლასის ქალთა ნაწილთან.** ციფრები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, ამბობენ შემდეგს: 57 გუბერნიაში და 3 ოლქში შარშან მეთერთმეტე ყრილობისას იყო თექვსმეტი ათასი დელეგატი-ქალი, რომელთა უმრავლესობას მუშა-ქალები წარმოადგენდენ. წელს, ამ ყრილობისას ჩვენ გვყავს არა ნაკლებ 52.000 დელეგატი-ქალისა, რომელთა შორის 33.000—მუშა-ქალებს წარმოადგენენ. ეს კოლოსალური ნაბიჯია წინ. უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ამ ფრონტს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, და რომ აქედან საქმე წინ მიდის, რადგან არის ნიადაგი იმისათვის, რომ ეს ელემენტიც გამაგრდეს, პარტიის საწერტელი გაფართოვდეს და მიიმართოს იმაზე, რათა ნიადაგი გამოეცალოს ხუცების გავლენას ახალგაზრდათა შორის, რომლებსაც ქალები ზრდიან, ცხადია პარტიის ერთ-ერთ მორიგ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს მაქსიმუმ ენერგიის ამოძრავებაა ამ ფრონტზე, რომელნიც უეჭველათ სიფრთხილეს მოითხოვს.

კომუნისტური სკოლა

გადავდივარ პარტიისა და მუშათა კლასის შორის შემდეგ შემაერთებელ აპარატზე. მე ვამბობ პოლიტიკურ სკოლებზე, საბჭოთა და პარტიულ სკოლებზე და კომუნისტურ უნივერსიტეტების შესახებ. **ესეც ის აპარატი იყო, რომლის საშვალებით პარტია კომუნისტურ განათლებას ავრცელებდა, ქმნიდა განათლების საკომანდო შემადგენლობას, რომელიც თესავდა მუშათა შორის სოციალიზმის, კომუნიზმის თესლს.**

ციფრები მოწმობენ, რომ საბჭოთა პარტიულ სკოლების მსმენელთა რაოდენობა შეადგენდა დაახლოვებით 22 ათას კაცს. წელს კი მათი რაოდენობა 33.000-ზე არა ნაკლებია, თუ ანგარიშში ჩავთვლით პოლიტიკურ წერა-კითხვის საქალაქო სკოლებსაც, რომლებსაც სუბსიდიებს დახმარებას ფულის სახით მთავარი პოლიტ-განათლების სამართველო აძლევდა. რაც შეეხება კომუნისტურ უნივერსიტეტს, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ კომუნისტურ განათლებისათვის, მათი მომატება მცირეა: იყო 6 ათას სკოლამდე, გახდა 6 400. პარტიის ამოცანაა—ყველა ღონისძიებები მიმართული იქნეს ამ ფრონტისკენ, გაძლიერებული იქნეს გამომუშავება, გამოჭედვა ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვან კომუნისტურ განათლების საკომანდო შემადგენლობისა.

პ რ ე ს ა

რჩება კიდევ ერთი შემაერთებელი ძალა პარტიისა და კლასის შორის—ეს არის პრესა.

პრესა არ წარმოადგენს მასსიურ აპარატს, მასსიურ ორგანიზაციას, მაგრამ მიუხედავათ ამისა ის არის უხილავი კავშირი პარტიისა და კლასის შორის, კავშირი, რომელიც თავისი ძალით უდრის მასსიურ ხასიათის ყოველ შუამავალ აპარატს. ამბობენ, პრესა—მეექვსე სამეფოა. მე არ ვიცი, რომელი სამეფოა ის, მაგრამ რომ მას ძალა და დიდი ხვედრი წონა აქვს,—ეს უდავოა. **პრესა—ერთად ერთი იარაღია, რომლის დახმარებით პარტია ყოველ დღე საუბრობს კლასთან მისთვის საჭირო ენაზე.** სხვა საშვალება პარტიისა და კლასის შორის სულიერ ძაფების გასაბმელათ არ არსებობს. ისეთი კლასიური აპარატი, როგორიც არის პრესა, ჩვენ ბუნებაში არ მოგვეპოვება. აი, რატომ უნდა იქნეს პარტიის მიერ მიქცეული უდიდესი ყურადღება ამ დარგზე და უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ აქ გვაქვს ერთგვარი წარმატება. ავიღოთ გაზეთი: შარშან ჩვენ გვქონდა 380 გაზეთი, წელს კი არა ნაკლებ 528.

შარშანდელი ტირაჟი 2.500,000 უდრიდა, მაგრამ ეს ტირაჟი ნახევრათ ძალდატანებითი იყო, არა ცოცხალი. ზაფხულში, როდესაც პრესა შტატებისა და სუბსიდიების შემცირებას განიცდიდა, როდესაც პრესა დაყენებული იყო საკუთარ ფეხზე დადგომის აუცილებლობის წინ, მისი ტირაჟი 900 ათასამდე დაეცა. ეხლანდელ ყრილობისათვის ჩვენ გვაქვს ტირაჟი, რომელიც 2 მილიონს უდრის. მაშასადამე ჩვენი პრესა უფრო-დამოუკიდებელი ხდება, თავისი საშვალებებით არსებობს და ის მასებთან დამაკავშირებელ იარაღს წარმოადგენს პარტიის ხელში—წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ასეთ ტირაჟს ადგილი ქონოდა.

წითელი არმია

გადავდივარ შემდეგ შუამავალ აპარატზე—არმიაზე. ამას შეუძლია გააკვიროთ; არმიას ყველა სთვლ თავდაცვის ან შეტევის აპარატა მე კი არმიას ვთვლი, **მუშებისა და გლეხების შეკრების პუნქტათ.** ყველა რევოლიუციების ისტორია გვეუბნება, რომ არმია ერთად ერთი პუნქტია, სადაც თავს იყრიან ერთმანეთს მოწყვეტილი მუშები და გლეხები, იკრიბებიან და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ პოლიტიკურ აზრებს. შემთხვევითი არ არის, რომ დი მობილიზაციები და სერიოზული საკითხები ყოველთვის იწვევენ ამა თუ იმ მასიურ მოძრაობას. ეს ხდება იმიტომ, რომ არმიაში პირველათ ხვდებიან ერთმანეთს მუშები და გლეხები. მანამდე რომ ვორონეჟელი გლეხი არასოდეს არ შეხვდებოდა პიტერელ პსკოველი ვერ ნახავდა ციმბირელს, არმიაში კი ისინი ერთმანეთს გაიცნობენ, არმია გლეხებისა და მუშებისათვის სკოლაა და თავმოსაყრელი ადგილი, და ამ თვალსაზრისით არმიის ძალას და გავლენას კოლოსალური ხვედრი წონა აქვს, ამ აზრით **არმია უდიდესი აპარატია, რომელიც აკავშირებს პარტიას ღარიბ გლეხობასთან.** არმია არის ერთად ერთი სრულიად რუსეთის, სრულიად ფედერალური შეკრების პუნქტი, სადაც სხვა და სხვა გუბერნიისა და ოლქის ხალხი იკრიბება და ერთად სწავლობს, ეჩვევა პოლიტიკურ ცხოვრებას. და ამ ფრიად სერიოზულ შუამავალ მასიურ აპარატში ჩვენ გვაქვს შემდეგი ცვლილებები;

კომუნისტების პროცენტი წარსულ ყრილობისთვის 7 ნახ. შეადგენდა, წელს კი ის 10 ნახ. აღწევს. არმია ამ ხნის განმავლობაში შემცირდა, მაგრამ მისი ღირსება გაუმჯობესდა, პარტიის გავლენა გაძლიერდა და

საქ. კომ. პარ. ტფ. ორგ. მე-4-ე სარაიონო კომიტეტი იუწყება, რომ შაბათს, 28 აპრილს დილის 9 საათზე სარ. კომიტ. შენობაში შესდგება

სარ. კომიტეტის პლენუმი

რადგანაც საკითხები მეტად მნიშვნელოვანია, წინადადებას აძლევს ყველა წევრებს და კანდიდატებს დაესწრონ აუცილებლად.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ **ხაცკევიჩი**.

პასუხისმგებელი ამხანაგების და თემკომების მდივნების თათბირი ქ. ზესტაფონში

1923 წ. 21—22 აპრილს ქ. ზესტაფონში შორაპნის სამპარტკომის მიერ მოწვეული იყო მაზრაში მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგების და თემკომის მდივნების თათბირი. თათბირი გახსნა ამხ. ა. ქავთარაძემ და სიტყვა მისცა ამხ. შამშელევას. უკანასკნელი შეეხო სამაზრო ცენტრის არსებობის საკითხს, სრულიად ობიექტიურათ და მოუწოდა დამსწრეთ, რათა გამოეთქვათ თავიანთი აზრი ამ საკითხის შესახებ. საკითხის ირგვლივ არსებობს ორი აზრი: ერთი იცავს სამაზრო ცენტრის არსებობას ქ. ზესტაფონში, მეორე კი მის არსებობას აუცილებლობათ სთვლის ქ. ჭიათურაში. თათბირზე ილაპარაკეს როგორც პირველი, ისე მეორე აზრის მომხრეებმა. საქ. კომპარტიის ცეკას მიერ დანიშნულმა კომისიამ, რომელიც დაესწრო ამ თათბირს, გამოთქმული აზრები მიიღო მხედველობაში საკითხის საბოლოო გადასაწყვეტათ. შემდეგ მოსმენილ იქნა სამაზრო აღმასკომების განყოფილებათა მოხსენებები სამაღმასკომის განყოფილების გამგეებისა. მათ შორის ყურადღების ღირსია მოხსენება მიწათ-მოქმედების განყოფილების, რომელიც უკანასკნელ თვეებში დამკვრელი წესით ატარებდა მიწის რეფორმას.

ამ მხრივ მაზრაში დიდი მუშაობაა ჩატარებული; ჩამორთმეულია სულ 17.337 ქცევა მიწა, 68 სახლი და 39 წისქვილი. ეს არის ჯერ კიდევ ცნობები ზოგიერთი თემების მიწის კომისიებიდან.

ჩამორთმეულ სახლებში ეწყობა სკოლები, წისქვილები ჯერ კიდევ თემების განკარგულებაშია ჩამორთმეულ მიწების ულარიბესს უმიწაწყლო გლეხებზე დარიგება უკვე სწარმოებს.

აღმასკომის განყოფილების გამგეებისა მოხსენებებმა სავსებით ვერ დააკმაყოფილა თათბირი ზოგიერთ მათგანის მუშაობის გამოსასწორებლად. სამპარტკომს დაევალა მიიღოს ზომები მეტი თვალყური ადევნოს მათ და ხელმძღვანელობა გაუწიოს.

მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენებები შორაპნის სამპარტკომის და ახალგაზრდათა კომკავშირის მაზრკომის. მოხსენებებში ხაზი გაესვა კამპანიების ჩატარებას უმთავრესათ კი ანტისარწმუნოებრივს. თათბირმა მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

ასეთ თათბირებს, სადაც კეთდება ჯამი წარსულ მუშაობაზე და ისახება გეგმა მომავალ მუშაობისათვის ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს. თემებიდან მოსულ ამხანაგებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ მაზრაში წარმოებულ, როგორც საბჭოთა, ისე პარტიულ მუშაობას.

თათბირების მოწვევა პარტორგანიზაციებსა და საბჭოთა ორგანოებს გამოაფხიზლებს, შემატებს ენერგიას და მიუთითებს მუშაობის სწორ გზისაკენ.

დამსწრე.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.

(27 აპრილი)

ოქროს 10 მან.—14,000 ათასი.
გირ. სტერ. — 7,600 ათასი.
ლირა — — — 1,300 ათასი.
დოლარი — — 1.700 ათასი.
საბჭ. ფულის ნიშ. 16,25. ათასი.

ოქროს კურსი სხვა და სხვა ქალაქებში.

ბაქოში — — — — 11,900 ათ.
ბათომში — — — 12,305 „
ერევანში — — — 12,900 „

ძვირფასი ლითონებ. ს კურსი.

(27 აპრილი).

ოქრო 96 სასინჯ. მისხალი—3 მან. 40 კაპ., ოქრო 56 სასინჯ. მისხალი—1 მ. 70 კ. ვერცხლი 84 სასინჯ. მისხ.—6,75 კაპ. 1 მანეთი ბანკის (ვერცხლი) 40 კაპ. ხურდა მანეთის—16,5 კაპ.

მუშათა მთლიან კოოპერატივის ფასები.

თეთრი პური—25, შაქრის ფხვნილი წევრთათვის—260 ათასი, საპონი „ტოლლე"—200, საპონი მარმარილო ადგილ.—200, მარილი—35, წუმწუმა—20, ლობიო—18.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

ელექტრ. შუშა, თამბაქო ფოთლოვანი, ფქვილი „კრუპჩატკა", ნარმა, ნამგალი ავსტრიის, ჩაი „კაზვინი", შოკოლადი, ერბო, კაკაო, ზეთი, გოგირდი, ჯაგარი, ლურსმანი, რეზინტრესტის ნაწარმოები, მინა, ბურღული, სარდინა, ყველი შვეიცარიის, ბარები რკინის, თოკი, ნაწლევები ცხვრის, ცემენტი პორტლანდ. ხორბალი, მანუფაქტურა რუსული, სამთითი გერმან. შაქარი რაფინადი, შაქრის ფხვნილი, თამბაქო ლაგოდეხის, მზესუმზირის ზეთი.

ბირჟის მოთხოვნილება.

მავთული ეკლიანი, მატყლი, რეზინოტრესტის ნაწარმოები, საპნის სუროგატი, მანუფაქტ. რუს., ლურსმანი, მზესუმზირას ზეთი, ბერტოლეს მარილი, სოდა კაუსტიკ, ტეხნიკური ცხიმები, ნაწლავები, ტყავი, შაბიამანი, პურის პროდუქტები, ფოთლოვანი თამბაქო, ჩაი „სოსიფროსი", სანთელი ფუტკრის, კარდონი. ბრინჯი.

ოფიციალური ბარიგებანი.

(27 აპრილს).

ერბო 11 მან. ოქრ., გამყიდველის ფრანკო საწყობი, რეზინო-ტრესტის ნაწარმოები—პრეისკურანტის ფასებში—საერთო ჯამი 3.500.000.000 მან. ამიერ-კავკ. ბონით.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

(27 აპრილს)

პურის პროდუქტები უცვლელია. შაქრის ბაზარზე სუსტია, ნედლი მასალის და რკინის საქონელის ბაზარზე გაცხოველებულია.

ბირჟის კომიტეტში

ბირჟის კომიტეტის დადგენილებით 27 აპრილიდან ბირჟის კრებები გაიმართება დილის 11—12 საათამდე.

მატყლის გატანის აკრძალვა.

შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილება სიზღვარ-გარეთ ყველა ხარისხის მატყლის გატანის აკრძალვის შესახებ, ვრცელდება ყველა საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკებზე.

ტვირთების მოსვლა თბილისის სადგურზე.

(25 აპრილს)

პირდაპირი მიმოსვლით ხორბლის ფქვილი—2005 ფ. შაბიამანი—684 ფ. თამბაქოს ნაწარმოები—299 ფ.

ადგილობრივი მიმოსვლით.—მაზუთი 1 ცისტ. ნავთი 4 ცისტ. ქერი—1000 ფ. ტეხნიკური ზეთი—62,5 ფ. შაბიამანი—904, თივა—275 ფ. კართოფილი—1819 ფ. ქვანახშირი—1 ვაგ. შუშა—3 ვაგ. კრამიტი—1000 ფ. მსხვილ ფეხა საქონელი—6 ვაგ. ნავთი—4 ცისტ. ბენზინი—1 ცისტ. სპირტი პურის—148,5 ფ. ტრაქტორი—732 ფ. გუთანი—178.

საქართველოს პირველი სამალარიო ყრილობა

მე-3 სხდომა, 25 აპრილი.

სრულ 11 საათზე სხდომას გახსნილად აცხადებს მორიგი თავმჯდომარე პროფ. ალადაშვილი. მოხსენებას ჰკითხულობს პროფ. ალ. ჯავახიშვილი თემაზე: „გეოგრაფიული პირობები ციებ-ცხელების გავრცელების საქმეში". მომხსენებელი საკმაოდ ვრცლად დიაგრამების საშუალებით ასურათებს საქართველოს ყოფილი კუთხის დაჭაობიანებას ზღვის დონის სხვა და სხვა სიმაღლეზე და მრავალი ადგილის დაჭაობიანების მიზეზს სხვა და სხვა გეოლოგიურ ცვლილებაში ჰპოულობს. იგი მოკლეთ იხილავს საქართველოს კუთხეების ზედაპირის ნიადაგს რომლის ფენები ჭაობიან ადგილზე ხშირად წყლის გაუტარებელია, თიხნარია, რაც საფუძვლად ედება ჭაობის წარმოშობას. მოხსენების დასასრულ პროფესორი მიუთითებს იმ საშვალებებზე, რომელთა მეოხებით დაჭაობიანების სრული მოსპობა შეიძლება.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა პროფ. ვირსალაძის ფრიად საყურადღებო მიმოხილვა მალარიის თანამედროვე პრობლემებისა. მომხსენებელი შეეხო ახალ გამოკვლევათ და დაკვირვებათ ამ სნეულების სფეროში, ვრცლად შეჩერდა მალარიასთან ბრძოლის სხვა და სხვა მეთოდებზე და საზოგადოთ დამსწრეებს ბევრი რამ ახალი მოახსენა როგორც საკუთარი დაკვირვებებიდან, ისე სხვა გამოჩენილ სამეცნიერო ძალების ნაკვლევებიდან, უმთავრესად კი ევროპიულ სამკურნალო ჟურნალებიდან ამოკრეფილი მასალების მიხედვით.

მოხსენებამ დამსწრე ექიმთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. მომხსენებელს მრავალი შეკითხვა მისცეს, რაზედაც იგი ჯეროვან განმარტებას იძლეოდა. შემდეგი სხდომა, პროფესორ ფეოდოროვის (პეტროგრადიდან ახლად ჩამოსულის) მოხსენებაზე დელეგატთა მიპატიჟების გამო, საღამოს ნაცვლად, მეორე დღის დილისთვის არის გადადებული.

მე-4 სხდომა, 26 აპრილს.

11 საათზე სხდომას გახსნილად აცხადებს მორიგი თავმჯდომარე კოსტან. ლორთქიფანიძე. მოხსენება ეკუთვნის ექიმს მ. მარუაშვილს. რომელიც ვრცლად ეხება მალარიის პარაზიტოლოგიის საკითხებს, ახასიათებს სხვა და სხვა მეცნიერულ მიმდინარეობათ ამ სფეროში და შემდეგ გადადის მალარიის კლინიკასა და მკურნალობაზე. მოხსენებას ხანგრძლივი კამათი მოჰყვა. სადავო საგანი იყო ქალის ქინაქინით წამლობა ორსულობის დროს. ძველი მკურნალობა უარყოფდა ორსულის ქინაქინით წამლობას იმ მოსაზრებით, თითქოს იგი მუცლის მოწყვეტას იწვევდეს. გამოცდილ ექიმთა და ექიმ-პროფესორთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლამ გამოარკვია, რომ ეს არის მეტად შემცდარი შეხედულება, რომლის საწინააღმდეგოთ საჭიროა ბრძოლა როგორც ამ აზრის დამცველ ექიმთა, ისე მოქალაქეთა შორის. შემდეგი მომხსენებელი შ. მიქელაძე ეხება სისხლის წებოვნებას მალარიის დროს და ვრცლად არკვევს მის წარმოშობის მიზეზებს. შ. მიქელაძის შემდეგ მოხსენებით გამოდის სახელმ. უნივ. საექ ფაკ. ტერაპიული კლინიკის ასისტენტი ექიმი მახვილაძე თემაზე: შეტევები მალარიის დროს და მიკროგამეტების შიზოგონია. დასასრულ იხსნება კამათი, რომელიც ნაშუადღევის 3 საათზე თავდება.

პროფკავშირებში

მელითონეთა კავშირში.

ადგილკომების ყრილობა.

26 აპრილს, ხუთშაბათს გაიხსნა მელითონეთა კავშირის ადგილკომების კონფერენცია.

გასამრჯელო პასუხისმგებელ მუშაკებისათვის.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვის თანახმად, მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა პასუხისმგებელ მუშა-მოსამსახურეთა ძირითად ხელფასს ზედმეტ მუშაობისათვის გასამრჯელოს სახით მოუმატოს 40 პროცენტი.

ფეხსაცმელები შტატს გარეშე დარჩენილ მუშებს.

მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ლითონის განყოფილების კოლეგიას შტატის გარეშე დარჩენილ მუშებს მისცეს ფეხსაცმელები.

მეტყევეთა კავშირში.

სკოლა უმუშევართათვის.

მეტყევეთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა უმუშევართათვის გახსნას ერთი სკოლა და ყოველდღიურად გასცეს თითო უმუშევარ მუშა მოწაფეზე ჩაი და ნახევარი გირვანქა პური.

დახმარება კლუბს.

პრეზიდიუმის დადგენილებით ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის კლუბის სასარგებლოდ გადადებულ იქნა 10.000.000 მანეთი.

ტუბერკულიოზთან ბრძოლის კომპანია.

პრეზიდიუმმა ადგილკომებს დაუგზავნა ინსტრუქციები პირველი მაისიდან ტუბერკულიოზთან ბრძოლის კომპანიის დაწყების შესახებ.

მუშათა ცხოვრება

ამხ. მუშა კორესპონდენტებს

არ დაგავიწყდეთ, ამხანაგებო, რომ კვირას, 29 აპრილს დილის ცხრა ნახევარ საათზე **ჩვენი რედაქციის შენობაში** (კრუზენშტეინის ქუჩა № 4—სართული 3) დანიშნული გვაქვს ჩვენი **მორიგი** მე-7 **კრება.**

კრებაზე დასწრება ჩვენი თანამშრომელ მუშკორებისთვის სავალდებულოა, თანამგრძნობ მუშებისა—სასურველია.

კრება გაგრძელდება **მხოლოდ დღის 12 ნახევარ საათამდე.** ამიტომ ყველა მუშკორი ვალდებულია—არ დაიგვიანოს.

მელითონეებში

მიმდინარე წლის 18 თებერვალს უმაღლ. სამ. საბჭოს ლითონის განყოფილების მესამე ავტო-სახელოსნოში შესდგა იმავე განყოფილების ქარხანა სახელოსნოების კულტუჯრედების კონფერენცია ქარხნის კომიტეტის და კომკავშირის წარმომადგენლების თანდასწრებით.

კონფერენციაზე თავმჯდომარეობდა ამხ. **ველიორკო.**

მდივნობდა ამხ. **მკრტუმოვი.**

კონფერენციაზე მორიგ საკითხად მოსმენილ იქნა პროფკავშირის მოხსენება პროფ-ტეხნიკურ კურსების დაარსების შესახებ ლითონის განყოფილების წარმოების მუშა-ხელოსანთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კონფერენცია აღტაცებით მიეგება კავშირის ასეთ დიად განზრახვას.

კონფერენციამ მიიღო რა მხედველობაში პროფ-ტეხნიკურ კურსების მნიშვნელობა ლითონის წარმოებაში, დაადგინა: მიენდოს ლითონის კავშირის კულტ-განყოფილებას ახლო მომავალში მოაწყოს აღნიშნული კურსები, ადგილობრივ ქარხნის კომიტეტებს და კულტ უჯრედებს დაევალოს ქარხანა-სახელოსნოებში გასწიოს კამპანია მუშათა შორის, კურსებზე ჩასაწერად, რისთვის შესდგეს სიები მსურველებისა და წარედგინოს კავშირს, რათა მოწვეულ იქნეს ხელმძღვანელი—მასწავლებელი. კურსებისათვის ბინა დაეთმოს ლითონის განყ. სამმართველოს სკოლის შენობაში. შემდეგ კონფერენციას მოხსენდა, რომ მე-3 ავტო-სახელოსნოში გაიხსნება მელითონეთა კლუბი, სადაც გაიმართება საღამო-კონცერტი, რისთვის არჩეულ იქნა საღამოს მომწყობი კომისია და დაევალა ქარხნების კომიტეტებს—მოუწოდონ მუშა-მოსამსახურეებს საღამოზე დაესწრონ აუცილებლად.

რაც შეეხება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, კონფერენციამ ამის შესახებ დაადგინა: მოეწყოს სკოლა უცოდინართა სალიკვიდაციოდ;—შესდგეს სიები მსურველებისა და მოწვეულ იქნას მასწავლებელი.

კონფერენცია დაიხურა საღ. 7 საათზე.

მელითონე.

მუშათა მასიური კრება

მიმდინარე წლის 24 აპრილს დილის ორ საათზე თბილისის საქონლის სადგურის აუდიტორიაში შესდგა თბილისის საქონლის სადგურის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთა პარტიულ ამხანაგმა, ვაშაკიძემ, საერთაშორისო მდგომარეობაზე, რაზედაც შესაფერისი რეზოლუცია იქნა გამოტანილი კრების მიერ. შემდეგ კრება შეეხო იმ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, რომელსაც განიცდიან თბილისის საქონლის სადგურის მუშები. უმთავრესი მათი გაჭირვება გამოიხატება ჯამაგირის სიმცირეში და მისი დროზე მიუღებლობაში. სატრანსპორტო კავშირის პრეზიდიუმის წევრმა ამხანაგმა გეიდენმა აღუთქვა კრებას შუამდგომლობა რაიკომის და ცეკას წინაშე და მათი საშუალებით სამართველოსთან დადებულ ხელშეკრულობის გადაშინჯვა და მით მუშების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება. შემდეგ მოხსენება გააკეთა „ტრამოტის" გამგემ აღნიშნული მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რკინის გზის სასამართლო არ უზრუნებდა მას თავის დროზე ფულებს ჯამაგირის დასარიგებლად, მეტად ძნელია რკინის გზის სამართველოდან ფულის გამოტანა და მუშებისათვის ჯამაგირების თავის დროზე დარიგება.

ამის გამო დამტვირთველ დარგის ათასზე მეტი მუშის მდგომარეობა აუტანელი ხდებოდა—სამწუხაროა ის რომ კერძო არტელის ხელში ჯამაგირს თავის დროზე ღებულობდენ სასურსათო და მათ სამგზავრო ბილეთებიც ეძლეოდათ. კავშირში შესვლით და საბჭოთა დაწესებულებაში გადასვლით მათ ყველაფერი მოესპოთ და ჯამაგირსაც თავის დროზე ვერ იღებენ. გვინდა გავიგოთ დანამდვილებით რა არის მიზეზი?

გიორგი ჩარხიშვილი

გაუგებრობა თუ დავიწყება.

(საქ. მედიკ. სან. შრომის კავშირის საყურადღებოთ).

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი წინეთ რვა განყოფილებას შეიცავდა 180 თანამშრომელით, „ნეპ"-ს შემდეგ მას ერთი განყოფილება გამოეყო, შემდეგ მეორე და ბოლო დროს ა/წ. თებერვალ—მარტში-მესამეც მდგომარეობა კვლავ ძველი დარჩა. ორგანიზაციული კავშირი იგივეა მხოლოდ გამოყოფილ განყოფილებების 10-მდე თანამშრომელმა ჯამაგირის მხრივ სრული „დამოუკიდებლობა" მოიპოვა რის გამო ერთიანი დაწესებულების მოზრდილი (40 პროც.) ნაწილი ოქროს ანგარიშით იღებს ჯამაგირს და სხვები კი ბონების. მაგ.—აპრილში მე-4 ხარისხის მუშა-თანამშრომელი ერთ განყოფილებაში იღებს 4.200.000 მანეთს და მეორეში კი (გამოყოფილში) 11 800000 მანეთს. რა დააშავა ერთი ოთახის დამლაგებელმა და რა უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს მეორე განყოფილების იმავე დარგის მუშას სწორედ გაუგებარია. იტყვიან „ერთმა განყოფილებამ ცოტათი სახელი შეიცვალა და სამეურნეო ორგანო გახდა". ეს განმარტება სავსებით მიუღებელია მუშისთვის, რომელიც 4 მილიონ მანეთით ვერავითარ შემთხვევაში ვერ იცხოვრებს. ნუ თუ გამოყოფილ ნაწილის დამლაგებელიც „ვაჭრობს"? აქ რაღაც გაუგებრობა არის. ჩვენი აზრით ყოველმხრივ მთლიან დაწესებულებას, როგორც არის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, სალარიც ერთი უნდა ჰქონდეს და თუ ეს ასეა, აღნიშნულ მუშების ჯამაგირების სხვა და სხვაობა სავსებით გაუგებარი რჩება.

მივაქცევთ მედიკსან. შრომის კავშირის ყურადღებას ასეთ გაუგებრობაზე, რომელიც უკმაყოფილებას იწვევს თანამშრომელთა შორის და იმედს გამოვთქვამთ, რომ შრომის ინტერესების მედგარი დამცველი კავშირი, აქაც არ დაუშვებს მშრომელთა უფლებების შებღალვას და სასწრაფო ზომების მიღებით მოსპობს ყოველგვარ ასეთ გაუგებრობას.

მუშკორ აქაური.

მუშათა ქრონიკა

— **შრომის ექსპლოატატორების გასამართლება.** მეოთხე რაიონის შრომის ინსპექტორმა, ამხ. სადიაშვილმა შრომის კანონების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა და პასუხისგებაში მისცა შემდეგი ვაჭარ-ექსპლოატატორები

— **ფეხსაცმლების სახელოსნოს** პატრონი (მუხრანის ქ. № 18) **იზუმიანცი და კამპანია** ამუშავებდნენ 6 ხელოსანს, და ამათ გარდა კიდევ ერთ შეგირდს—16 წლის ახალგაზრდას—რომელიც კავშირის წევრად არ ითვლებოდა და მიღებული იყო შრომის ბირჟის გარეშე. მომუშავენი დაზღვეული არ იყვნენ და მათ არც საანგარიშო წიგნაკები ჰქონდათ.

— **ფეხსაცმლების სახელოსნოს** პატრონი (მცირე ვანქის ქ. № 9) **გაბილი მუნტიროვი**, რომელიც ამუშავებდა 18 წლის ყმაწვილს პეტრე კრუპჩინს, რომელიც არც დაზღვეული იყო და რომელსაც არ აღმოაჩნდა საანგარიშო წიგნაკი; ეს ყმაწვილი მუშაობდა ნორმაზე მეტს და სხვა.

— **ფეხსაცმელების სახელოსნოს** (მცირე ვანქის ქ. № 15) **მ. ტერ-ოხკანოვი.** ეს უკანასკნელი ამუშავებდა შრომის ბირჟის გარეშე მიღებულ, კავშირში ჩაუწერელ ხელოსანს, ასატურიანცს. ამის გარდა აქ მუშაობდა 12 წლის მოზარდი 4 საათის ნაცვლად 8—9 საათს დღიურად. მუშებს საანგარიშო წიგნაკები აღარ ჰქონდათ და არც დაზღვეულ იყვნენ.

ქრონიკა

სრ. საქართ. ცენტრ. აღმ. კომ. პრეზიდიუმში.

— **უზენაეს რევტრიბუნალის შუამდგომლობა.** სრ. საქ. ცენტრ. აღმ. კომ. პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა საქართველოს უზენაეს რევტრიბუნალის შუამდგომლობა, რომ ამა წლის 25 თებერვლის ამნისტია არ გავრცელდეს ბრალდებულ მოქ. შ. სვიმონიშვილზე, სტ. შოშიაშვილზე, სტ. ბაბაევზე, არ. ბოჭოიძეზე და დ. დ. გიორგაძეზე.

— **სოფლის სახელის შეცვლა.** პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა შინაგან საქ. სახ. კომისარიატის შუამდგომლობა დაბა ნოვალალევის (ზუგდიდის მაზრა) სახელწოდების მარტვილად შეცვლის შესახებ.

საქ სახ. კომისარიატში.

— **შირაქის ნავთი.** საქ. სახალხო კომისართა საბჭომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მოხსენების თანახმად დაადგინა დასდოს საკონცესიო ხელშეკრულება მოქ. როდრიგეცთან შირაქის ნავთის ამოღების შესახებ.

— **სამაზრო აღმასკომების დათვალიერება.** სახალხო კომისართა საბჭომ დაარსა საგანგებო კომისია, რომელსაც მიენდო სამაზრო აღმასკომების დათვალიერება და მათთვის ახალი ინსტრუქციების მიცემა. აღნიშნული კომისია უკვე გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში.

— **აგარაკების შესახებ.** პრეზიდიუმმა დაადგინა ეთხოვოს ა. კ. ც. ა. კ. გასცეს განკარგულება რათა ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა სასწრაფოდ დაამტკიცოს საგარაკო მმართველობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ ღრიცხვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია საგარაკო საქმის დაზიანება.

— **დებულება სავალდებულო დადგენილების შესახებ.** ამავე პრეზიდიუმმა მიიღო დებულება სავალდებულო დადგენილებათ გამოცემას და მათი დამრღვევისათვის ადმინისტრატიულ წესით დასჯის შესახებ და დეკრეტი ხსენებულ დებულების შემოღების შესახებ.

კომუნისტურ გავლენის გადიდების მხრით ჩვენ გამარჯვება მოვიხვეჭეთ შეკრების ამ ძირითად პუნქტში.

კომუნისტები საკომანდო შემადგენლობაში, თუ უკანასკნელს მთლიანად ვიღებთ გზვოდის უფროსების ჩათვლით, წარსულ წელს 10 პროც. შეადგენდენ, წელს კი—13 პროცენტს. თუ საკომანდო შემადგენლობას ავიღებთ გზვოდის უფროსების გამოკლებით, წარსულ წელს მივიღებთ 16 პროცენტს, ეხლა კი—24.

ასეთია ის შემაერთებელი ძალები, ის მასიური აპარატები, რომლებიც შემოკრებილია ჩვენი პარტიის გარშემო და რომლებიც, აკავშირებენ რა პარტიას მუშათა კლასთან, საშვალებას აძლევენ პარტიას მისი ავანგარდათ გახდეს და მუშათა კლასი არმიათ გადააქციოს. ასე რთულია ის კავშირები და შემაერთებელ პუნქტების ქსელი, რომელთა დახმარებით პარტია, ავანგარდში იქცევა და მუშათა კლასი ნამდვილ პოლიტიკურ პარტიათ ხდება.

წარმატება, რომელიც მოიპოვა ჩვენმა პარტიამ ამ დარგებში ჩამოთვლილ კავშირების განმტკიცების საქმეში, აიხსნება არა მხოლოთ იმით, რომ პარტიის გამოცდილება ამ სფეროში გაფართოვდა, და არც თუ მარტო იმით, რომ ამ შემაერთებელ აპარატებზე ზედგავლენის საშვალებები გამოუმჯობესდა, არამედ იმითაც, რომ ქვეყნის საერთო პოლიტიკური მდგომარეობა ხელს უწყობდა ამას. წარსულ წელს ჩვენ გვქონდა შიმშილი, შიმშილის შედეგები, მრეწველობის გასაოცარი დეპრესია მუშათა კლასის დაქსაქსულობა და სხვა. წელს კი, პირიქით, ჩვენ გვქონდა კარგი მოსავალი და მრეწველობის ნაწილობრივი აღდგენა. წელს დაიწყო პროლეტარიატის გაერთიანების პროცესი. ძველი მუშები, რომლებიც იძულებული იყვნენ დაფანტულიყვნენ სოფლათ, ხელახლა უბრუნდებიან ფაბრიკებსა და ქარხნებს და ყოველივე ეს ქმნის მდგომარეობას, პოლიტიკურათ ხელსაყრელს იმისათვის, რომ პარტიის ფართეთ გაეშალა მუშაობა აპარატების გასამაგრებლათ, რომლებიც აადვილებენ პარტიის შრომას და მუშათა კლასის ავანგარდს ემსახურებიან.

პარტია და სახელმწიფო აპარატი.

სახელმწიფო აპარატი გლეხობასთან კავშირის ძირითადი აპარატია.

სახელმწიფო აპარატი-ძირითადი მასსიური აპარატია, რომელიც აკავშირებს სათავეში მდგომ მუშათა კლასს მისი პარტიის სახით გლეხობასთან და რომელიც საშუალებას აძლევს მუშათა კლასს მისი პარტიის სახით ხელმძღვანელობა გაუწიოს გლეხობას.

ჩვენი ანგარიშის ამ ნაწილს მე უშუალოდ ვაკავშირებ ამხ. ლენინის ორ ცნობილ წერილთან. ბევრს, ლენინის მიერ ამ ორ წერილში განვითარებული იდეია სრულიად ახლად მოეჩვენა. ჩემის აზრით ლენინის ორ წერილში გამოთქმული იდეია ტვინს უღრღნიდა ვლადიმერ ილიჩს ჯერ კიდევ წარსულ წელს. თქვენ უთუოდ გახსოვთ მისი შარშანდელი პოლიტიკური ანგარიში. ის ამბობდა, რომ ჩვენი პოლიტიკა სწორია, მაგრამ აპარატი სტყუის ამიტომ მანქანა არ მიდის იქეთ საითაც უნდა წავიდეს, არამედ ის გვერდზე უხვევს. ამაზე, რამდენადაც მახსოვს ამხ. შლიაპნიკოვმა შენიშნა,—შოფერები არ ვარგაო. ეს არ არის მართალი! სრულიად არ არის მართალი, **პოლიტიკა სწორია, შოფერი საუცხოვოა და მანქანაც კარგია, მაგრამ მანქანის შემადგენელი ნაწილები ჩვენი არ არის და ამიტომ მთელი მანქანა ყალბობს, ამიტომ ხდება ხაზის დამახინჯება, განხორციელება კი არა,—დამახინჯება!**

ვიმეორებ სახელმწიფო აპარატი თავისი ტიპით სწორია, მაგრამ მისი შემადგენელი ნაწილები ჯერ კიდევ სხვისია, მეფურ-ბურჟუაზიულია. ჩვენ გვაქვს სახელმწიფო აპარატი, როგორც ხალხურ მასებისათვის სამსახურის საშუალება, მაგრამ ეს აპარატი ზოგჯერ სურთ ჭამა-სმის წყაროთ გახადონ. აი რატომ სტყუის მთლიანათ აღებული აპარატი. თუ ჩვენ ის ვერ შევაკეთეთ მარტოოდენ სწორ პოლიტიკურ ხაზით ჩვენ შორს ვერ წავალთ, ის დამახინჯდება და ჩვენ მივიღებთ გათიშვას მუშათა კლასის, გლეხობისა და პარტიის შორის. თუმცა ჩვენს ხელში იქნება საქმე, მაგრამ მანქანა არ დაგვემორჩილება. დაგვრჩება მხოლოდ გაკოტრება.

რატომ მოიყალბებს სახელმწიფოებრივი მანქანა.

მე შემიძლია მოვიყვანო ის ფაქტი, რომელიც ამ დღეებში მიამბო მე ამხ. ვოროშილოვმა. გვაქვს ჩვენ ასეთი დაწესებულება—სამრეწველო ბიურო, იყო ასეთი დაწესებულება სამხრეთ-აღმოსავლეთში, იქ მოიპოვებოდა 2 ათასამდე მუშაკი. ამხ. ვოროშილოვი სასოწარკვეთილებით ამბობს, რომ ადვილი არ იყო ამ აპარატისათვის თავის გართმევა და მისი მართველობისათვის საჭირო იყო შექმნა მცირე აპარატის—მმართველობის აპარატის მართვისათვის. აღმოჩნდნენ კეთილი ადამიანები—ვოროშილოვი, ესისმონტი, მიკოიანი, რომლებმაც ხელი მიჰყვეს საქმეს **და აღმოჩნდა, რომ 2 ათასი მუშაკის ნაცვლად აპარატში შეიძლებოდა ყოფილიყო 170.** და საქმე მიდის გაცილებით უკეთესათ, ვინემ წინად. წინად აპარატი ნთქავდა ყველაფერს, რასაც იგებდა. ეხლა აპარატი ემსახურება მრეწველობას. აი ფაქტი. ასეთები ბევრია, ფაქტები მეტია, ვინემ ჩემს თავზე თმა.

ყველა ეს ფაქტები მოწმობენ მხოლოდ ერთს, რომ ჩვენი პარტიული და საბჭოთა აპარატები, ტიპიურად სწორნი, შესდგებიან ისეთ ადამიანებისაგან, აქვთ მათ ისეთი დახელოვნება და ტრადიციები, რომლებიც თავდაყირა აყენებენ არსებითად სწორ პოლიტიკურ ხაზს, რის გამოც მთელი მანქანა მოიყალბებს და ღებულობთ უდიდეს პოლიტიკურ მინუსს.

ორში ერთი, ჩვენ ან გავაუმჯობესებთ სამეურნეო აპარატებს, შევამცირებთ მათ შემადგენლობას, გავამარტივებთ მას, შევავსებთ რა ისეთი შემადგენლობით, რომელიც ახლოა სულიერად ჩვენს პარტიასთან და მაშინ ჩვენ მივაღწევთ იმას, რისთვისაც ჩვენ შემოვიღეთ ეგრედ წოდებული ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ესე იგი, რომ მრეწველობას დაემუშავებია მაქსიმუმი ფაბრიკატებისა იმისათვის, რათა მიგვეწოდებია სოფლისათვის, მიგვეღო საჭირო პროდუქტები და ამ რიგად დაგვემყარებია გლეხურ ეკონომიკის კავშირი მრეწველობის ეკონომიკასთან, ან ჩვენ ამას ვერ მივაღწევთ და მოხდება კრახი. ორში ერთი, ან სახელმწიფოს საგადასახადო აპარატი იქნება გამარტივებული, შემცირებული, განდევნილი იქნებიან იქიდან ქურდები და პაცაცები და მაშინ მეურნეობა აიტანს ამას, ან აპარატი გადაიქცევა თვით მიზნად, როგორც ეს იყო სამხრეთ აღმოსავლეთში და ყველაფერი რაც შემოდის გლეხობიდან მოუნდება თვით აპარატის შენახვას, რაც უდრის პოლიტიკურ კრახს.

აი ის მოსაზრებები, რომლებითაც, ჩემის აზრით, ხელმძღვანელობდა ვლადიმერ ილიჩი, როდესაც ის ადგენდა ამ წერილებს. აქ არის ამხ. ლენინის წინადადებების კიდევ ერთი მხარე. ის არა მარტო იმას ცდილობს, რომ აპარატი იყოს გაუმჯობესებული და პარტიის ხელმძღვანელობითი როლი იყოს გაძლიერებული მაქსიმალურად, არამედ მას, ალბად, სახეში აქვს აგრეთვე მორალური მხარეც, ის ცდილობს **მიაღწიოს იმას, რომ სახელმწიფოში არ დარჩეს არც ერთი „სანოვნიკი"-ს, თუნდაც რომ ყველაზე დიდი თანამდებობის, რომლის შესახებ უბრალო ობივატელს შეძლება ექნებოდა ეთქვა: მის წინააღმდეგ სამართალი არ არისო.** აი ეს მორალური მხარე წარმოადგენს ილიჩის წინადადების მესამე მხარეს. უნდა გაიწმინდოს არა მარტო სახელმწიფო აპარატი, არამედ აგრეთვე თვით პარტიაც ყველა იმ „სანოვნიკურ" ტრადიციებისა და ჩვეულებებისაგან, რომლებიც სახელს უტეხენ ჩვენს პარტიას. სახელდობრ, ამ საკითხის გამო **ვლადიმირ ილიჩი ჯერ კიდევ წარსულ წელს მთავარ ყურადღებას აქცევდა ჩვენი პარტიის ორი ძირითად ამოცანას: აღსრულების გასინჯვას, ესე იგი შენ აძლევ დავალებებს სახელმწიფო აპარატს და საჭიროა გასინჯვა, თუ როგორ სრულდება ეს, და მუშაკების შერჩევას.**

მუშაკების შერჩევა.

მე მინდა შევჩერდე მუშაკების შერჩევაზე, აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილების მუშაობაზე,—ეს ღებულობს კოლოსალურ მნიშვნელობას. თუ ჩვენთვის ცხადია, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატი თავისი შემადგენლობით, დახელოვნებით და ტრადიციებით უვარგისია, რის გამოც მოსალოდნელია განხეთქილება მუშებს და გლეხებს შორის, მაშასადამე აშკარაა, რომ პარტიის ხელმძღვანელობითი როლი უნდა გამოიხატებოდეს არა მარტო დირექტივების მიცემაში, არამედ იმაშიაც, რათა ამა თუ იმ თანამდებობაზე ინიშნებოდენ ისეთი პირები, რომელთაც შეუძლიათ ჩვენი დირექტივების გაგება და მათი ღირსეულად გატარება. არ არის საჭირო იმის დამტკიცება, რომ ცეკას პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობის შორის შეუძლებელია გაუვალი საზღვრის გატარება.

არ მგონია, რომ ვინემ თქვენთაგანმა დაიწყოს იმის მტკიცება, რომ საკმარისია კარგი პოლიტიკური ხაზის მიცემა და საქმე გათავდება. არა, ეს არის მხოლოდ საქმის ნახევარი. იმის შემდეგ, რაც შენ აიღე სწორი პოლიტიკური ხაზი, საჭიროა მუშაკების შერჩევა ისე, რომ იმ პოსტებზე, რომელთაც შეუძლიათ ამ დირექტივების გატარება, იდგენ ისეთი პირები, რომელთაც შეძლება ექნებათ გაიგონ ეს დირექტივები, მიიღონ როგორც თავისი მკვიდრნი და გაატარონ ისინი ცხოვრებაში. **წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი პოლიტიკა იქნება წყლის ნაყვა.** სწორედ ამისათვის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება, ესე იგი ცეკას ის ორგანო, რომელიც მოწოდებულია ითვალისწინებდეს ჩვენს მთავარ მუშაკებს როგორც მაღალ, ისე დაბალ წრეებში, და ანაწილებდეს მათ, ღებულობს უდიდეს მნიშვნელობას. დღემდე საქმე ისე სწარმოებდა, რომ აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილების მუშაობა განისაზღვრებოდა ამხანაგების აღრიცხვით და სამაზრო, საგუბერნიო და საოლქო კომიტეტებში განაწილებით. ამაზე შორს აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება არ მიდიოდა.

ეხლა, როდესაც ომი დამთავრებულია, როდესაც მასიურ შეურჩეველ მობილიზაციებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვთ, მათ დაკარგეს ყოველივე აზრი, რაც მით მტკიცდება, რომ ათასის მობილიზაცია, რომელიც წარსულ წელს თავზე მოახვიეს ცენტრალურ კომიტეტს, ჩაიშალა, რადგანაც შეურჩეველი, არაკვალიფიციური მობილიზაციები ჩვენს პირობებში, როდესაც მუშაობა გაღრმავდა და როდესაც გვეჭირავს სპეციალიზაციის კურსი, როდესაც აუცილებელია თვითეული მუშაკის დეტალურად შესწავლა,—შეურჩეველი მობილიზაციები მხოლოდ საქმეს აბნევს და არავითარ პლიუსს არ აძლევს ადგილებს. მე შემიძლია მოვიყვანო ზოგიერთი ციფრები.

ცენტრალურ კომიტეტს დაავალეს გაეწვია მობილიზაციით არა ნაკლებ ათასი კაცისა. ცენტრალურმა კომიტეტმა აღრიცხა მობილიზაციისათვის დაახლოვებით 1,500. ავადმყოფობის და სხვა მიზეზების გამო შესაძლებელი გახდა მხოლოდ 700 გაწვევა; აქედან ცოტათი თუ ბევრად გამოსადეგი აღმოჩნდა 300 კაცი, ადგილების რეკომენდაციის მიხედვით. ეს ფაქტი ლაპარაკობს იმას, რომ ძველი ტიპის შეურჩეველი მობილიზაციები ამ ჟამად უკვე გამოუსადეგარია, რადგანაც ჩვენი პარტიული მუშაობა გაღრმავდა, ის ჩამოყალიბდა საბჭოთა ხელმძღვანელობის სხვადასხვა დარგებში და აქ შეურჩევლად მუშაკების გადაგზავნა, ნიშნავს პირველყოვლისა უმოქმედობას და შემდეგ დაუკმაყოფილებლობას თვით იმ ორგანიზაციების მინიმალურ მოთხოვნილებისა, რომელთაც ესაჭიროებათ ახალი მუშაკები.

ჩვენი მრეწველობის კომშემადგენლობა.

მე მსურდა ჩვენი მრეწველობის კომშემადგენლობის შესახებ მომეყვანა ზოგიერთი ციფრები ცნობილ ბროშურიდან, რომელიც შედგენილია აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილებაში მომუშავე ამხ. საროკინის მიერ. მაგრამ სანამ ამ ციფრებზე გადავიდოდე, მე უნდა ვილაპარაკო იმ რეფორმაზე, რომელიც მუშაკთა აღრიცხვის საქმის მსვლელობაში მოახდინა ცენტრალურმა კომიტეტმა აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილებაში. წინად, როგორც მე უკვე აღვნიშნე, აღრიცხვა განმანაწილებელი განყოფილება მომწყვდეული იყო საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტების ჩარჩოებში; ეხლა კი, როდესაც მუშაობა გაღრმავდა, როდესაც სააღმშენებლო მუშაობა სწარმოებს ყოველგან, საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტების ჩარჩოებში მომწყვდევა შეუძლებელია. საჭიროა დაპყრობა მთელი იმ სამრეწველო კომშემადგენლობის, რომლის დახმარებითაც პარტიას ხელში უჭირავს ჩვენი საბჭოთა სამეურნეო აპარატი და ახორციელებს თავის ხელმძღვანელობას. სწორედ ამისათვის იყო გადაწყვეტილი ცენტრალური კომიტეტის მიერ აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილების აპარატის გაფართოება როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, ისე, რომ გამგეს ჰყოლოდა მოადგილეები სამეურნეო და საბჭოთა დარგებში და რომ მათ ჰყოლოდათ თავიანთი თანაშემწეები, რომლებიც აღრიცხავდენ ჩვენს კომშემადგენლობას წარმოებებში და ტრესტებში, სამეურნეო ორგანოებში ადგილებზე და ცენტრში, საბჭოებში და პარტიაში.

ამ რეფორმის შედეგებს ბევრი არ დავგვიანებია. მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენ შევსძელით აღრიცხვა ჩვენი სამრეწველო კომშემადგენლობის, რომელიც იტევს დაახლოვებით 1,300 დირექტორს. აღმოჩნდა, რომ მათ შორის 29 პროცენტი პარტიულია და 70 პრ. უპარტიო. შეიძლება გვეფიქრნოს, რომ უპარტიოები სჭარბობენ რაოდენობის მხრივ მთავარ წარმოებებში, მაგრამ ეს მართალი არ არის. სინამდვილეში, კომუნისტების 29 პროცენტი ხელმძღვანელობას უწევს ყველაზე უფრო მსხვილ წარმოებებს, რომლებშიაც გაერთიანებულია 800 ათასზე მეტი მუშა, ხოლო უპარტიო დირექტორების 70 პროცენტი ხელმძღვანელობს წარმოებებს, რომლებშიაც შედის არა უმეტესი 250 ათასი მრეწველი მუშისა. ცხადია, რომ პარტიულებს შორის მუშები სამჯერ მეტია, ვინემ არა მუშები. ესეც იმას მოწმობს, რომ მრეწველობის ძირითად იაჩეიკებში, არა ისე, როგორც ზევით, სადაც კომუნისტები ნაკლები არიან, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, მის განყოფილებებში და ტრესტებში, ქვევით უკვე დაიწყო კომუნისტების და პირველ ყოვლისა მუშების მიერ წარმოებების დაპყრობის ახალი ტალღა. საინტერესოა ის, რომ კომუნისტ—დირექტორებს შორის უფრო მეტი აღმოჩნდა გამოსადეგი, ვინემ უპარტიოებს შორის, საიდანაც ის გამომდინარეობს, რომ პარტია, ანაწილებს რა კომუნისტებს წარმოებებს შორის, ხელმძღვანელობს არა მარტო მით, რომ გააძლიეროს პარტიის გავლენა წარმოებებზე, არამედ აგრეთვე საქმიანი მოსაზრებებით. ამით სარგებლობს არა მარტო პარტია, როგორც ასეთი, არამედ აგრეთვე მთელი მეურნეობის აღმშენებლობა, ვინაიდან გამოსადეგი დირექტორები კომუნისტებს შორის გაცილებით უფრო მეტია, ვინემ უპარტიოებს შორის.

აი ჩვენი სამრეწველო კომშემადგენლობის აღრიცხვის პირველი ცდა, პირველი ცდა, როგორც ვსთქვი, რომელიც ყველა წარმოებებს არ შეეხება, ვინაიდან ამხ. სოლოვიევის ბროშიურაში აღრიცხული 1300 დირექტორი შეეხება მხოლოდ იმ წარმოებების ნახევარს, რომლებიც ჯერ კიდევ აღრიცხული უნდა იყვნენ. მაგრამ ეს ცდა გვიჩვენებს, რომ აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილების მუშაობა გაფართოებული უნდა იქნეს ყოველ მხრივ იმისათვის, რათა საშუალება მიეცეს ჩვენს პარტიას შეავსოს ჩვენი ძირითადი წარმოებები კომუნისტებით და მით განახორციელოს პარტიის ხელმძღვანელობა სახელმწიფო ორგანოებზე.

ამხანაგებს გაცნობილი უნდა ჰქონდეთ ის დებულებები, რომელთაც ცეკა ადგენს ყრილობაზე განსახილველად, აქვს რა სახეში პარტიული და საბჭოთა მხარეები. რაც შეეხება საბჭოთა მხარეს, რომელზედაც მე ვილაპარაკე ჩემი ანგარიშის მეორე ნაწილში, ცეკას განზრახული ჰქონდა წარედგინა ეს საკითხი განსახილველად სპეციალურ სექციისათვის, რომელმაც უნდა განიხილოს როგორც პარტიული, ისე საბჭოთა მხარე და, ამ რიგად, დაამუშაოს ცეკას წინადადებები. ამით ვათავებ მე ჩემი ანგარიშის მეორე ნაწილს.

პარტია როგორც ორგანიზმი და პარტია, როგორც აპარატი.

გადავდივარ მესამე ნაწილზე: პარტია, როგორც ორგანიზმი და პარტია, როგორც აპარატი.

პირველ ყოვლისა, საინტერესოა მოკლედ შევეხოთ ჩვენი პარტიის შემადგენლობის რაოდენობას.

ციფრები მოწმობენ იმას, რომ გასულ წელს მე-11 ყრილობის დროს პარტია შესდგებოდა 420—440 ათას წევრისაგან. წელს, იმის გამო, რომ მთელ რიგ ოლქებში პარტია განთავისუფლდა არაპროლეტარულ ელემენტებისაგან, მას მოეპოება ცოტათი ნაკლები—400 ათასი წევრი. ეს არის არა მინუსი, არამედ პლიუსი, რადგანაც სოციალური შემადგენლობით პარტია გაუმჯობესდა. საინტერესოა, რომ შარშანდლამდე პარტიაში იყო ტენდენცია უფრო არაპროლეტარულ ელემენტების ზრდისა, ვინემ მუშებისა. დაიწყო გარკვეული გადახრა პროლეტარულ ელემენტებისაკენ. ეს სწორედ ის გამარჯვებაა, რომლისაკენაც ჩვენ მივისწრაფოდით წინანდამდე და რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ.

მე არ ვიტყვი იმას, რომ ამ სფეროში ყველაფერი გაკეთებულია. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მაგრამ ჩვენ მივაღწიეთ გარდატეხას, ერთგვაროვნების განსაზღვრულ მინიმუმს, პარტიის მუშური შემადგენლობა უზრუნველყოფილია და, ალბად, მომავალშიაც მოგვეცემა ამ გზით წასვლა, პარტიაში არაპროლეტარულ ელემენტების მომავალი შემცირებისა და პროლეტარული ელემენტების ზრდის მიზნით, ის ღონისძიებები, რომლებიც დასახული აქვს ცეკას ჩვენი პარტიის შემადგენლობის მომავალ გაუმჯობესებისათვის, უკვე აღნიშნული იყო,—მე მათ არ განვიმეორებ. ცხადია, რომ საჭირო იქნება ზღუდეების გამაგრება არაპროლეტარულ ელემენტების შემოჭრის წინააღმდეგ.

საგუბერნიო კომიტეტები.

მე გადავდივარ საგუბერნიო კომიტეტების ცხოვრებაზე და მათ მუ-

ქალაქის აღმასკომში.

— **ქუჩების სახელების შეცვლა.** ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფ. კოლეგიამ დაადგინა წინადადება მიეცეს სააღმშენებლო განყოფილებას დაამზადოს წარწერები იმ ქუჩებისათვის, რომელთაც ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით შეეცვალათ სახელები. აგრეთვე დადგენილია გაფრთხილებულ იქნან სახლის პატრონები, რათა თავიანთ სახლების ფარნებზე გააკეთონ წარწერები ქუჩის ახალი სახელების.

განათლების კომისარიატში.

— **შეწირულება.** ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ განათლების კომისარიატს გადასცა 2 ტომარა ფხვნილი შაქარი. საბავშვო ბაღებისათვის.

შრომის ბირჟა.

— **უმუშევრები.** 26 აპრილს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 537 უმუშევარი, ამავე დღეს ჩაეწერა 119 უმუშევარი, გაიგზავნა სამუშაოზე 66.

აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალში.

— **სესიის გამგზავრება დუშეთში.** 5 მაისს ქ. დუშეთში მიემგზავრება აღმოსავლეთ საქ. რევტრიბუნალის სესია, რომელიც გაარჩევს სხვადასხვა ბოროტ-მოქმედთა საქმეებს. სესია დუშეთში დარჩება 15 მაისამდე.

კრებები და მოხსენებები

— პარასკევს 4 მაისს პირველ სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში შესდგება სპარსეთიდან ჩამოსული ფერეიდნელი ქართველის სეიფოლა იოსელიანის მოხსენება სპარსეთის ქართველების ცხოვრების შესახებ. რის შემდეგ ზ. ჭიჭინაძე გააკეთებს მოხსენებას ქართველების გადასახლების შესახებ სპარსეთში შაჰ-აბაზის მიერ მე-17, საუკუნეში.

სხვა და სხვა.

— **ციებასთან საბრძოლველად.** 23 აპრილს, სახ. უნივერსიტეტის დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს ექიმთა ყრილობა. ყრილობის მიზანია გამოიმუშაოს ციებ-ცხელებასთან საბრძოლველი მიზეზები და შეუდგეს მის ცხოვრებაში განხორციელებას მთავრობის დახმარებით. ყრილობაზე წაკითხული იქნება შემდეგი მოხსენებები: 1) ციებ-ცხელება საქართველოში, 2) გეოგრაფიული პირობები ციებ-ცხელების გავრცელების საქართველოში, 3) „მალიარიის პრობლემა“, 4) სისხლის წებოვნება მალიარიის დროს, 5) მალიარია და სულით ავადმყოფობა, 6) ჰემეგალიმინური ციებ-ცხელება. ყრილობა გაგრძელდება 5 დღეს. მონაწილეობს 40 ექიმი.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრი

ჩვენი საოპერო დასის მეორე პერსონაჟთა ბენეფისზე, 24 აპრილს, განახლებულ იქნა ოფენბახის ოპერა „გოფმანის ზღაპრები“.

ოფენბახი საფრანგეთში მეორე იმპერიის ეპოქის მუსიკალური მოღვაწეა. მან სახელი გაითქვა მსუბუქი ჟანრის (ოპერეტის) შექმნით. უმთავრესად ახალგაზრდობაში დაწერილ ოპერით „მშვენიერი ელენე“ რაც ნიღაბ ჩამოფარებული პოლიტიკური პამფლეტია, რომელშიაც გაკიცხულია, ნამხილებია ოჯახური ცხოვრება ნაპოლეონ მესამის (მენელაი) და მისი მეუღლის ევგენიასი (ელენე).

ამ ოპერეტისათვის ოფენბახი გაძევებულ იქნა საფრანგეთიდან, რადგან მის ნაწარმოებში დაინახეს „მისი უდიდებულესობის შეურაცყოფა“. მას საშვალება მიეცა დაბრუნებულიყო თავის სამშობლოში მხოლოდ რესპუბლიკანურ წესწყობილების დამყარების შემდეგ.

თავის შემოქმედების უკანასკნელ ხანებში ოფენბახმა თავი დაანება მსუბუქ ჟანრს და დაიწყო წერა უფრო სერიოზულ ჟანრის ნაწარმოებებისა.

ოპერა „გოფმანის ზღაპრები“ მისი უკანასკნელი და ერთად-ერთი სერიოზული ჟანრის ნაწარმოებთა, უფრო სწორად რომ ვსთქვა, მან აქვს პრეტენზიები სერიოზულ ჟანრზე, ვინაიდან ამ ნაწარმოების მუსიკაც, გარდა მესამე მოქმედებისა, ძლიერ მისწვდომი და მჩატე შინაარსისაა. „გოფმანის ზღაპრების“ სიუჟეტს წარმოადგენს სრულიად ჩვეულებრივი რამ. ოპერის გმირია ისტორიული პიროვნება, რომანტიკოსი კომპოზიტორი და კაპელმეისტერი თეოდორ გოფმანი. სტუდენტების კომპანიაში ქეიფის დროს ის მოგვითხრობს სამს თავის გულის ამბავს, რომელთაც სასამწუხარო დასასრული აქვთ. ეს შინაარსი ცხოვრების ზღაპრებია, დამსხვრეული გაუგებარ და გვერდ აუხვეველ მისი ცხოვრების ბოროტ გენიის გავლენით. სამჯერ იყო შეყვარებული გოფმანი: პირველათ მას შეუყვარდა ერთი ქალიშვილი, რომელიც გამოდგა დედოფალა-ავტომატი (რა თქმა უნდა აქ ალეგორიაა), მეორეთ გოფმანს შეუყვარდა მაცდური, გარყვნილი და მატყუარა კურტიზანკა. მესამედ მას შეუყვარდა მომღერალი ქალი, რომელიც გამოდგა ჭლექით ავადმყოფი. სამივე ზღაპარი მის ცხოვრების დაყოფილია ცალ-ცალკე და „ზღაპრების“ კარდინალურ როლში გამოდის ერთი და იგივე პირი, მექანიკის კოპელიუსის სახელწოდებით პირველ მოქმედებაში, ვილაც შარლატან დეპერტუტოს სახელით მეორეში და ექიმ მირაკლის სახელწოდებით მესამეში. გოფმანის ცხოვრების დრამის აზრია ადამიანის მარადიული დამოკიდებულება გარემოებათა ფატალურ მიმდინარეობისაგან. გადავდივარ რა ოპერის დადგმის შეფასებაზე, მოვალეთ ვსთვლი თავს აღვნიშნო საბინინის კარგი და მოხდენილი თამაში.

როგორი მრავალფეროვანი ნიჭი აქვს მსახიობს, დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც საბინინმა მოგვცა პატიოსან და წარჩინებულ მეფე ბორის გოდუნოვის რეალური სახე და ახლა კი ის თამაშობს სამ როლს (კოპელიუსის, დეპერტუტოსის და მირაკლის) რომელთა საერთო ხაზია დემონიურობა, ხოლო მისი გარეგანი გამოსახვა სრულიად სხვა და სხვა გვარია. მეტად დამახასიათებელი გრიმი აქვს მსახიობს, მიმიკაც კარგი და მშვენიერად არის გაცნობილი სცენასთან. კარგათ მღერის დედოფალი—ავტომატის პარტიას ცაგარელის ქალი, ავათ გამხდარ მსახიობ პოპოვას (ქარციგაძისა) ნაცვლათ გამოსული, კურტიზანკას პარტია მოზოვეცკაიას ქალს დაუმუშავებელი აქვს—დუეტს გონდოლაზე მღერა უნდა დიდი ტემპერამენტით. რასაკვირველია, კარგია ბოკოვა ავათმყოფ ანტონიის პარტიაში. რომანტიკოს გოფმანის პარტიას ვერ ეგუება კავსაძის ნიჭი, გარეგნობითაც ვერ გვაგონებს ის მეთვრამეტე საუკუნის ყრმა გერმანელს. ამ პარტიის სხვა აღმსრულებელნიც (სხვა და სხვა მოქმედებებში ასრულებდნენ სხვა და სხვა მომღერლები) კარგი არიან, მოლჩანოვის გარდა, რომელმაც კიდევ ვერ დაანება თავი ჩვეულებისამებრ შუა მუსიკალურ ფრაზაში ხმის გაყალბებას.

დანარჩენი პარტიები ეპიზოდიურია და აღმსრულებელნიც ახდენენ ანსამბლს.

მუსიკოსი.

— **სამხატვრო და სიძველეთა გამოფენა.** განათლების კომისარიატთან არსებული ხელოვანთა მთავარ კომიტეტს გერმანიიდან მოუვიდა მომართვა ქალაქ. ნიურნბერგში სამხატვრო და სიძველეთა გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებათ. ხელოვანთა კომიტეტმა დაადგინა მიიღოს აქტიური მონაწილეობა ხსენებულ გამოფენაში საუკეთესო ექსპონანტების გაგზავნით.

— **ახალი ჟურნალი და ხელოვნების კურსები.** ხელოვან მუშაკების პროფკავშირთან არსებულ კულტ-განყოფილებასთან დაარსდა საგანგებო კომისია, გალაკტიონ ტაბიძისა და შალვა დადიანის შემადგენლობით რომლის მიზანია გამოსცეს რუსულ ქართული ხელოვნების საილუსტრაციო ჟურნალი. აგრეთვე დაარსონ მცირე ხნის კურსები რეჟისორებისა და ინსტრუქტორების მოსამზადებლათ პროვინციებისათვის.

— **პიესა „ელექტრა“ ქართულად.** შალვა დადიანმა გადმოსთარგმნა გოფმან სტალის პიესა „ელექტრა“, რომელსაც თავის საბენეფისოდ დგამს მსახიობი ქალი აბელაშვილი.

— **სეზონის დახურვა.** ქართულ აკადემიურ დასის (რუსთაველის თეატრი) სეზონი დასრულდება 4 ივნისს. ამ ხნის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ერთი პრემიერა „ჰამლეტი“ რომელსაც ამზადებს მსახიობი დავითაშვილი კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით.

— **სახალხო სახლის იუბილე.** მაისის შუა რიცხვებში გაიმართება სახალხო სახლის დაარსების დღიდან 30 წლის იუბილე.

— **ცენტრალურ მუშათა კლუბში.** სახალხო სახლთან არსებულ დრამატიული დასი შალვა დადიანის რეჟისორობით მიწვეულია ცენტრალურ მუშათა კლუბში საზაფხულო სეზონში სამუშაოდ.

— **შალვა დადიანის იუბილე სოხუმში.** 6 მაისს ქალაქ სოხუმში გაიმართება შალვა დადიანის იუბილე.

— **რეჟისორ ტუგანოვის იუბილე.** ახლო ხანში ტფილისში გაიმართება რუსული დრამის რეჟისორის ტუგანოვის იუბილე მისი 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

— **ელო ანდრონიკაშვილის იუბილე.** მსახიობ ელო ანდრონიკაშვილის იუბილე, რომელიც უნდა გამართულიყო 26 აპრილს, მისი ავადმყოფობის გამო გადაიდვა 2 ივნისისათვის.

— **ბენეფისი ნინო დავითაშვილისა.** ხუთშაბათს, მაისის 3-ს, რუსთაველის თეატრში გაიმართება ნინო დავითაშვილის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება სარდუს ცნობილი პიესა „მადამ სან-ჟენ“. „სან-ჟენ-“ის როლს შეასრულებს ნინო დავითაშვილი, ნაპოლეონისას—გიორგი დავითაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში ეს განცხადება.

ამით ვაცხადებ, რომ მე ვიყავი მენშევიკური პარტიის წევრათ 1916 წლიდან—1920 წლამდი. ვინაიდან ვარწმუნდი, რომ მენშევიკურმა პარტია თანდათან ცილდებოდა სწორ გზას მუშათა ინტერესების დაცვას—მე მათთან შევწყვიტე ყოველგვარი კავშირი. ამასთანავე ვაცხადებ საყოველთაოთ, რომ ერთად ერთი პარტია, რომელიც კი იცავს პროლეტარიატის ინტერესს არის კომუნისტური პარტია. უნდა დავიცვათ ის და საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ შინაურ და გარეშე მტრებისაგან.

ირადიონ თოფურია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— შაბათს, ა. წ. 28 აპრილს საქ. კომ. ცენ. კომ. სააგიტაციო-ს პროპაგანდო განყოფილების შენობაში დანიშნულია საპროგრამო-მეთოდიური კოლეგიის სხდომა.

მიწვეულნი არიან ამ-ბი ბუაჩიძე ანდრო, იობიძე იზმაილი, თათარიშვილი ა. გალაქტიონ, თალაკვაძე ისიდორე, დუდუჩავა, ალაგარდიანი, ცინცაძე ივანე, ესენინა, ჩიხლაძე ს., ხაჭაპურიძე და პუტილოვი.

საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ახალგაზრდობის კომკავშირის პოლონელ წევრებს, რომლებმაც იციან პოლონური ენა, გამოცხადდენ კვირას, 29 აპრილს დღის 4 საათზე, მორიგ სხდომაზე პოლონურ მუშათა კლუბში (ნიკოლაევის ქ. № 59), გამოცხადება სავალდებულოა.

ვინც არ გამოცხადდება, ის მიიღებს საყვედურს პრესის საშუალებით.

ტფილისის კომიტეტის მდივანი:
ლომიძე.
ინსტრუქტორ-ორგანიზატორი: გუსტი-სტუპნიცკი.

პროფესიული.

განათლების მუშაკთა სახლში

— ორშაბათს, 30 აპრილს საღამოს 7 საათზე ფიზიკო-მათემატიკურ ქვე-სექციაში ა. გ. ბალაბუევი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ელემენტი და მატერია თანამედროვე მსოფლმხედველობის გაშუქებით“.

— სამშაბათს, პირველ მაისს საღამოს 7 საათზე ლომთაძის ცნობა: „საბავშო სახლში საცდელი მუშაობის ცდა“.

— ოთხშაბათს, 2 მაისს, საღამოს ხუთ საათზე ჩუისინის ლექცია, საქართველოს შედარებითი ეტნოლოგიის კურსის მიხედვით.

საღამოს 7 საათზე ისტორიულ ქვე-სექციაში კოზლოვას და კბანცევას ცნობა „აფრიკის ზღაპრების შესახებ, როგორც მეხუთე ჯგუფის მასალების“.

საღამოს 7 საათზე საბავშო ბაღების ქვესექციაში ხუბოვას მოხსენება თემაზე: „გართობა და შრომა საშკოლო ჰასაკამდე.“

სახლის გამგე—შიუკაშვილი-კალთუჯნაია.

შაობაზე. პრესაში ხშირად ზოგიერთ წერილებში გამოსჭვივის ირონიული ჰანგები საგუბერნიო კომიტეტის მისამართით. ხშირად დასცინიან საგუბერნიო კომიტეტებს, არ აფასებენ მათ მუშაობას. ხოლო მე კი ვიტყვი, რომ საგუბერნიო კომიტეტები მთავარი დასაყრდენია ჩვენი პარტიისათვის, საგუბერნიო კომიტეტების, როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა მუშაობის ხელმძღვანელობის სფეროში მათი მუშაობის გარეშე, პარტია დარჩებოდა უნიადაგოდ. მე წავიკითხე, როგორ იზრდებიან საგუბერნიო კომიტეტები, ეს შეიძლება შემოწმებული იქნეს იმ წერილების საშუალებითაც, რომლებიც მოგვდის საგუბერნიო კომიტეტებიდან. მე წავიკითხე წერილები საგუბერნიო კომიტეტებისაგან 10 თვის წინად, საიდანაც სჩანს, რომ ჩვენი საგუბერნიო კომიტეტების მდივნები კიდევ იბნეოდენ სამეურნეო საქმეებში, ვერ შეეთვისენ მათ და ვერ გაერკვენ. 10 თვის შემდეგ მე წავიკითხე ახალი წერილები, წავიკითხე კმაყოფილებით და სიხარულით, რადგან ცხადი იყო, რომ ეს პირები უკვე გაერკვენ, პირდაპირ მიუდგენ სააღმშენებლო მუშაობას, დააყენეს ადგილობრივი ბიუჯეტი, დაიპყრეს ადგილობრივი მეურნეობა და მართლაც ჩაუდგენ სათავეში მთელი გუბერნიის სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებას. ეს, ამხ. ნაგებო, დიდი მონაპოვარია.

შესაძლებელია ნაკლიც მოიპოებოდეს საგუბერნიო კომიტეტებში, მაგრამ მე უნდა გავიმეორო, რომ, თუ არ იქნებოდა ადგილი საგუბერნიო კომიტეტების ამ პარტიულ და სამეურნეო გამოცდილების ზრდის, ჩვენ ფიქრიც არ შეგვეძლებოდა იმაზე, რომ პარტიას ოდესმე ხელი მოეკიდა სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელობისათვის. ლაპარაკობენ ინტრიგანობაზე და შუღლა შემოხლაზე.

მე უნდა ვთქვა, რომ ინტრიგანობას და შუღლა-შემოხლას უარყოფითი მხარეების გარდა აქვს კარგი მხარეებიც (სიცილი); ინტრიგები და შუღლა-შემოხლა იჩენს თავს საგუბერნიო კომიტეტების მისწრაფებაში, რათა შექმნან თავის გარშემო შეკავშირებული კადრი, რომელიც შესძლებს ხელმძღვანელობას, როგორც ერთეული. ეს მისწრაფება უეჭველად პროგრესიულია და კანონიერი. მართალია, ხშირად ამ მიზანს აღწევენ მიუღებელი საშუალებებით.

მაგრამ ეს აიხსნება პირველ ყოვლისა ჩვენი პარტიის მრავალფეროვნებით, მით, რომ პარტიაში მოიპოებიან ძველები და ახლად შემოსული პროლეტარიები და ინტელიგენტები, ახალგაზრდები და მოხუცები, ცენტრის და განაპირა მხარეების კაცები, სხვა და სხვა ეროვნების ადამიანები მაგრამ ინტრიგანობის და შუღლა-შემოხლის 0,9—ს აქვს ღრმად დადებითი მიზანი—მიღწევა იმის, რათა საგუბერნიო კომიტეტის გარშემო შეიქნეს ჯგუფი, რომელიც შესძლებს მუშაობის ხელმძღვანელობას. მე უნდა ვსთქვა, რომ საგუბერნიო კომიტეტებში ასეთი ხელმძღვანელი ჯგუფები თუ არ იქნებოდა, თუ ყველაფერი შუაზე იქნებოდა გაყოფილი ისე, რომ კარგები და ცუდები ერთი მეორეს გაუთანასწორდებოდენ, გუბერნიებში არ იქნებოდა არავითარი ხელმძღვანელობა სამეურნეო ცხოვრებაზე, ჩვენ ვერ ავკრებდით ვერავითარ სასურსათო გადასახადს და ვერც ერთ კამპანიას ვერ გავატარებდით.

აი შუღლა-შემოხლის დადებითი მხარე, რომელიც არ უნდა დაიჩრდილოს მით, რომ ზოგჯერ ის ღებულობს ძლიერ მახინჯ ფორმებს, ჩვენი პარტიის მრავალ-გვარობის და მრავალფეროვნობის გამო. მე უნდა აღვნიშნო, რომ რაც უფრო წინ მივდივართ, მით უფრო ნაკლებია შუღლა-შემოხლის და უთანხმოების მახინჯი ფორმები; რამდენადაც წინ მივდივართ, იმდენად მეტი დახელოვნებით იმუშავებენ საგუბერნიო კომიტეტები მიზანშეწონილ ფორმებს იმისთვის, რათა მიაღწიონ ერთობას, ჯგუფების შეკავშირებას საგუბერნიო კომიტეტების გარშემო.

სამაზრო კომიტეტები.

მაგრამ ჩვენი პარტიული ორგანოები მაზრებში და უფრო ქვემოდ, სამწუხაროდ სუსტია. საგუბერნიო კომიტეტებს არ მოეპოებათ სამაზრო მდივნების რეზერვი. მე ვფიქრობ, რომ თუ ჩვენ ძირითადი აპარატები, რომლებიც აკავშირებენ ჩვენს პარტიას მუშათა კლასთან, ისე აპარატები, რომლის შესახებაც მე ვლაპარაკობდი ჩემი ანგარიშის პირველ ნაწილში, ჯერ კიდევ სავსებით ვერ ჩავიგდეთ ხელში (მე სახეში მაქვს უმდაბლესი იაჩეიკები, კოოპერატივები, ქალების სადელეგატო კრებები კავშირები და სხვ.), თუ საგუბერნიო ორგანოებმა ჯერ კიდევ სავსებით ვერ დაიპყრეს ეს აპარატები, ეს იმის გამო, რომ ჩვენ ძლიერ სუსტი ვართ მაზრებში.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენი პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ცეკასთან სამაზრო მდივნების სკოლის შექმნა უფრო ერთგულ და დახელოვნებულ გლეხებისა და მუშებისაგან. პარტია მომავალწლისათვის რომ შესძლებდეს თავის გარშემო 200 ან 300 სამაზრო მდივნის შემოკრებას, რომლებიც გაეგზავნებოდა საგუბერნიო კომიტეტებს დასახმარებლად, რათა გაგვეადვილებია მათთვის შემდეგი ხელმძღვანელობა სამაზრო მუშაობაზე, ჩვენ, შეიძლება 2 წლის შემდეგ, შეძლება გვექნებოდა სავსებით დაგვეპყრო ყველა მასიური ხასიათის აპარატები. არც ერთი კოოპერატივი, არც ერთი სასოფლო სამეურნეო შუამავალი, არც ერთი ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი, არც ერთი ქალთა სადელეგატო კრება, არც ერთი იაჩეიკა ახალგაზრდობის კავშირის, არც ერთი აპარატი მასიური ხასიათისა, არ იქნებოდა ჩვენი გავლენის გარეშე.

საოლქო ორგანოები.

ეხლა საოლქო ორგანოების შესახებ. გასულმა წელმა დაგვიმტკიცა, რომ მართალი იყვნენ პარტია და ცეკა, როდესაც შექმნეს საოლქო ორგანოები, რომელთაგან ზოგიერთი არჩეული, ხოლო ზოგიერთი დანიშნულია ცეკას ბიუროს მიერ. განიხილა რა საერთოდ საკითხი რაიონებად დაყოფის შესახებ, ცეკა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პარტიის საოლქო ორგანოების მოწყობის საქმეში საჭირო იქნება თანდათანობითი გადასვლა დანიშვნის პრინციპიდან არჩევის პრინციპზე, ჰქონდა რა სახეში ის გარემოება, რომ ასეთი გადასვლა უსათუოდ შექმნის სასურველ მორალურ ატმოსფერას პარტიის საოლქო კომიტეტების გარშემო.

ცენტრალური ორგანოები.

გადავდივარ პარტიის ცენტრალურ ორგანოების გაუმჯობესებაზე. თქვენ, ალბად, წაიკითხავდით ცეკას წინადადებას იმის შესახებ, რათა ცეკას მდივნის ფუნქციები სავსებით გარკვევით და სისწორით უნდა განიყოფებოდენ პოლიტბიუროს ფუნქციებისაგან. ეს საკითხი არ საჭიროებს განსაკუთრებულ განმარტებას, რადგანაც ის თავისთავად გასაგებია. მაგრამ არის ერთი საკითხი, საკითხი თვით ცენტრალურ კომიტეტის გაფართოების შესახებ, რომელიც რამდენიმეჯერ იყო განხილული ცეკას შიგნით და რომელმაც ერთ დროს დიდი კამათი გამოიწვია. არიან ზოგიერთი წევრები ცეკაში, რომლებიც ფიქრობენ, რომ საჭიროა არა გაფართოება, არამედ ცეკის წევრთა რაოდენობის შემცირება. მე მათი მოტივები არ მომყავს: თვითონ ამხანაგებმა სთქვან ამის შესახებ. მაგრამ მე უნდა მოვიყვანო მოკლედ ის მოტივები, რომლებიც ლაპარაკობენ ცეკას გაფართოების სასარგებლოდ.

ეხლანდელი მდგომარეობა ჩვენი პარტიის ცენტრალურ აპარატში ასეთია: ჩვენს ცეკაში შედის 27 წევრი; ცეკა იკრიბება ორ თვეში ერთჯერ, ცეკასთან არის პოლიტბიურო 7 კაცისაგან, რომლებიც ისე დახელოვნდენ ჩვენი ორგანოების პოლიტბიუროსი და სამეურნეო მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეში, რომ მოსალოდნელია ხელმძღვანელობის „ქურუმები“ გახდენ. ეს შეიძლება კარგიც იყოს, მაგრამ ამას აქვს უარყოფითი მხარეც; ქურუმები მეცნიერების, ქურუმები ხელმძღვანელობის, შეიძლება კასტად იქცნენ. განდგენ, ჩამოშორდენ მასას. არ შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული ეს საფრთხე.

მეორე—ის ჯგუფი ცეკას შიგნით, რომელიც გამოიწვრთნა ხელმძღვანელობის საქმეში, უკვე ძველდება, მას ესაჭიროება შეცვლა.

თქვენ იცით ვლ. ილიჩის მდგომარეობა, თქვენ იცით, რომ საჭირო ხდება ცეკას ძირითად შემადგენლობის დანარჩენ წევრების მორიგეობით დასასვენებლად გაშვება. ხოლო ახალი რიგები ჯერ კიდევ არ არის, აი რაში მდგომარეობს უბედურება. პარტიის ხელმძღვანელების გამოჭედვა ძლიერ ძნელია: ამისათვის საჭიროა 10 და 10-ზე მეტი წლები. გაცილებით უფრო ადვილია ამა თუ იმ ქვეყნის დაპყრობა ამხ. ბუდენის კავალერიის საშუალებით, ვინემ 2—3 ამხანაგის გამოჭედვა უბრალო წევრებისაგან, რომელთაც მომავალში მართლაც შეეძლებათ ქვეყნის ხელმძღვანელობა. დროა დავფიქრდეთ ახალი შემცვლელი რიგების შექმნაზე. ამისათვის არის ერთი საშუალება—ჩავაბათ ისინი ცეკას მუშაობაში და მუშაობის მსვლელობაში დავაწინაუროთ უფრო დახელოვნებულები. ამიტომ ვფიქრობ, რომ დიდი შეცდომა იქნებოდა ყრილობის მხრივ, რომ ყრილობამ არ დაიდგინა, რომ ყრილობა არ დათანხმებოდა ცეკას წინადადებაზე მისი გაფართოების შესახებ, უკიდურეს შემთხვევაში 40—კაცამდე მაინც.

ჩვენი პარტიის ძლიერება.

დასასრულს, ვათავებ რა ჩემს ანგარიშს, მე მინდა ავღნიშნო ერთი ფაქტი, რომელიც შეიძლება იმიტომ, რომ ძლიერ ცნობილია, არ გვხვდება თვალში, მაგრამ რომელიც უნდა აღინიშნოს. ეს არის ის შეკავშირება ჩვენი პარტიის, ის უმაგალითო სიმტკიცე, რომელმაც ასეთი გადახრის დროს, როგორიც არის ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ჩვენს პარტიას თავიდან აიცდინა გათიშვის შესაძლებლობა. ვერც ერთი პარტია მსოფლიოში, ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ვერ აიტანდა ასეთ ერთბაშ ცვლილებას უმთავრესად, რომ ესა თუ ის ჯგუფი არ ჩამოსცილებოდა. როგორც იცით, ასეთ ცვლილებას მოსდევს ის, რომ განსაზღვრული ჯგუფი სცილდება პარტიას და პარტიაში იწყება თუ არა გათიშვა, არევ-დარევა მაინც. ჩვენ გვქონდა ასეთი ცვლილება ჩვენი პარტიის ისტორიაში 7—8 წელს, როდესაც ჩვენ 5 და 6 წლის შემდეგ, როდესაც შესწავლული გვქონდა აშკარა ბრძოლა, არ გვსურდა ლეგალურ მუშაობაზე გადასვლა, არ გვსურდა სათათბიროში წასვლა, არ გვსურდა გამოგვეყენებია ლეგალური დაწესებულებები, არ გვსურდა გაგვეძლიერებია საკუთარი პოზიციები ლეგალურ ორგანოებში და საზოგადოთ არ გვსურდა ახალი გზები. ეს იყო ცვლილება არა ისე დიდი, როგორც ახალი ეკონომიური პოლიტიკა, მაგრამ მაშინ, ალბად, ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო ჩვენი პარტია, ჩვენ არ გვქონდა გამოცდილება მანევრების მოხდენის სფეროში და საქმე მით დამთავრდა, რომ მთელი ორი ჯგუფი დავკარგეთ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა, არის დიდი ცვლილება, როდესაც პროლეტარიატი იძულებული იყო დაბრუნებულიყო ძველ პოზიციაზე, როდესაც პროლეტარიატი იძულებული იყო პირი ექნა გლეხებისაკენ, რათა მასთან არ დაეკარგა კავშირი, როდესაც პროლეტარიატს უნდა ეფიქრა იმაზე, რომ გაეძლიერებია და განემტკიცებია თავისი რეზერვები აღმოსავლეთის და დასავლეთის შეშების სახით, ასეთი ცვლილების დროს პარტიამ თავიდან აიცილა არა თუ გათიშვა, არამედ აგრეთვე არევ-დარევაც. აი რა არის მნიშვნელოვანი. ეს მოწმობს ჩვენი პარტიის გაუგონარ მოქნილობას, შეკავშირებას, ურყეულ სიმტკიცეს.

ეს თავდებია იმის, რომ ჩვენი პარტია გაიმარჯვებს. შარშან, და თვით წელსაც გვჰკივოდენ და გაჰკივიან ჩვენი მტრები, რომ ჩვენი პარტია მიდის გახრწნისაკენ. მაგრამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი პოზიციები, შევინარჩუნეთ ჩვენს ხელში სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა და განვაგრძობთ წინსვლას შეკავშირებულად როგორც ერთი კაცი. მაშინ, როდესაც ჩვენს მოწინააღმდეგებში ხდება გახრწნა. თქვენ, ალბად, იცით, ამხანაგებო, რომ ამას წინად მოსკოვში გაიმართა ესერების ყრილობა, ყრილობამ გადაწყვიტა მიმართოს ჩვენს ყრილობას თხოვნით, რათა გაუღოთ მათ ჩვენი პარტიის კარები. თქვენ, ალბად, გაიგონებდით ამას გარდა, რომ მენშევიკების ციტადელი—საქართველო, სადაც მოიპოება მენშევიკების პარტიის 10,000-ზე მეტი წევრი, ეს მშვენიერება მათვის არ ნახული, უკვე ინგრევა. მენშევიკების რიგებიდან გავიდა დაახლოვებით 2000-დე წევრი. ეს მე მგონია მოწმობს არა იმას, რომ იხრწნება ჩვენი პარტია, არამედ იმას, რომ გახრწნა ხდება სწორედ მათ პარტიაში. დასასრულ, თქვენ ალბად მოგეხსენებათ, რომ მენშევიზმის ყველაზე უფრო პატივსანი და საქმიანი მუშაკი, ეხლა კი ამხანაგი მარტინოვი გამოვიდა მენშევიკების რიგებიდან და ცეკამ მიიღო ის პარტიაში და შემოაქვს მას თავისი წინადადება ყრილობაზე, რათა ყრილობამ დაადასტუროს ეს მიღება. აი ყველა ის ფაქტები, ამხანაგებო, რომლებიც მოწმობენ არა იმას, რომ ჩვენთან ცუდად სდგას საქმე პარტიაში, არამედ იმას, რომ მათში, ჩვენ მოწინააღმდეგებში ხდება გახრწნა მთელ ხაზზე, ხოლო ჩვენი პარტია დარჩა შეკავშირებული, განმტკიცებული, რომელმაც გაუძლო უდიდეს ცვლილებას ახალი პოლიტიკის სახით და რომელიც მიდის წინ ფართოდ გაშლილი დროშით.

(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

განცხადებები

დედა ნატალია ვასილის ასული ვაჩნაძისა, დები ანნა და ელენე, ძმა ერასტი ვაჩნაძეები განუსაზღვრელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათი დაუვიწყარი და ძვირფასი

ვავა ვაჩნაძის

უდროვოთ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, 28 აპრილს, საღამოს 5 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიიდან. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზედ.
610—1—1

ღრმათ დამწუხრებული სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ სამმართველოს თანამშრომლის

ბარბარე (ვავა) ალექსანდრეს ასულის
ვაჩნაძის

უდროვოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 28 აპრილს, საღამოს 5 ს., ქვაშვეთის ეკლესიიდან ვერის (ნიკოლოზის) სასაფლაოზედ.
608—1—1

აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებულ ქართულ დრამატიული სტუდიის მასწავლებლები და მსმენელი ახალგაზრდობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას ნიჭიერ სტუდიელი ქალის დაუვიწყარ

ვავა ვაჩნაძის

გარდაცვალებას. (613 1—1)

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: დედა ნინო როსტომის ასული ბერიძისა, ბებია მატრონა გიორგის ასული უჯმაჯურიძისა; დები: პაბილინა ჩიჩუასი, აგრაფინა, ქეთო და მარო; ძმები: თეოფილე, მიშა და ტიტო და სიძე ამბროსი ჩიჩუა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 28 აპრილს, არის დანიშნული მათი ძვირფასი და დაუვიწყარის

ქრისტინე (ქსენია) ექვთიმეს ასული
ბერიძის

ორმოცი დღის შესრულების. ერკეთში.
607—1—1

დღეს, 28 აპრილს.
სახელმწიფო ოპერა
ბორის გოდუნოვი
დასაწყისი სრულ 8 საათზე.
კრ. 850—1—1

განცხადება

ქალაქის აღმასკომის საფინანსო განყოფილება საყოველთაოთ საყურადღებოთ ამით აცხადებს, რომ ა. წ. 1 მაისიდან ყოველ-გვარ გადასახადების ასაკრეფ ოქროს მანეთის კურსათ ქალაქის აღმასკომი იხელმძღვანელებს წინა დღის ოფიციალურ ოქროს მანეთის კურსის მიხედვით.

საფინანსო განყოფილების გამგე **შიალკოვსკი.**
3—1

საჯარო ვაჭრობა

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ამით [illegible] 30 აპრილს დილის 12 საათზე აღმასრულებელ კომიტეტის [illegible] შნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის ხუთი სასწორისას ([illegible] მოედ., სიმონოვის მოედ., მალაკნის მოედ., ნუნუფაროვის და მუხრანის რინოკზე) იჯარით გასაცემად (ცალკე პირზედ ან იურიდიულ უფლებით აღჭურვილ ამხანაგობაზედ.

ვაჭრობა დაიწყება 15.000 მანეთიდან ოქროთი ხუთივე სასწორზე წელიწადში. დაწვრილებით კონდიციის გაცნობა შეიძლება ყოველ დღე აღმასკომში ოთახი № 50.
4—3

ტყე დახერხილი

სხვადასხვა ზომის
იყიდება ხუმბათოვის ბორჯომის მამულის ქარხანაში.
მიიღება შეკვეთა დამზადებაზე.

სახელ. ორგ., კოოპერატივები, სხვა ორგ. და კერძო პირები მიწვეულნი არიან მაგარი კონტრაქტის შესაკვრელათ ქარხნის მიერ დახერხილი ტყის მიწოდებაზე 30—40 ათასი კვადრატიული ვერშოკამდე ყოველთვიურათ.

მისამართი: თბილისი, საპიორის ქ. 37, მთავარი საკურორტო სამმართველოს მრეწველობის განყოფილება.
344—3—2

საჯარო ვაჭრობა

ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი იწვევს ყველა მსურველთ მიიღონ მონაწილეობა წერილობითი ვაჭრობაში, რომელიც გაიმართება ამ წლის 11 მაისს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ქვემდებარე ქ. ტფილისის საავადმყოფოებისათვის საკმაო სიმსუქნის ძროხის ხორცის დამზადებაზე 15-20 ფ. რაოდენობით შემდეგი ვადით:

12 მაისიდან—1924 წ. 1 იანვრამდე.

განცხადებები შეტანილი უნდა იქნენ დაბეჭდილ კონვერტებით ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამეურნეო-მატერიალურ განყ. (ევანგულოვის ქ., 12) ფუთი ხორცის ფასის აღნიშვნით და შემდეგი საბუთების წარდგენით: ხაზინის კვიტანცია ხელშეკრულების თანხიდან 10 პროც.-ის ბეთ შეტანის შესახებ ან საგირაო მოწმობა უფროსი ნოტარიუსისაგან დაგირავებულ ქონების შესახებ.

იჯარის გაცემის დროს ჯანმრთ. სახ. კომისარიატი იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებებში აღნიშნულ ფასებით, არამედ აგრეთვე კომისარიატის ინტერესებიდან გამომდინარე მოსაზრებებით.
(კრ. 351 3—2)

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი

ამით აცხადებს დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ, რომ 1923 წ. 29 აპრილს, დილის 10 საათ., აღმასკომის დარბაზში (№ 12)

დანიშნულია

შეჯიბრება

აღმასკომისათვის 3000 კუბ. საჟ. **მაგარი ხარისხის შეშის** დამზადებაზე ფრანკო-აღმასკომის საწყობებში.

შეშის ჩაბარება შეიძლება ნაწილობრივათაც.

განცხადების მიღება დაწვრილებითი პირობებით შეიძლება ა. წ. 29 აპრილამდე დაბეჭდილ პაკეტებში აღმასკომის კომენდანტის ოთახში № 22.

ყოველივე ცნობებს ამის შესახებ აძლევს აღმასკომის კომენდანტურა.
5—4 პრეზიდიუმი.

კლიოპკა 200 ცალი

მუხის—ზომა: 16 ვერ. × 2½—3 × ¾ ვერ.
„ „ 26 „ × 2½—3 × ¾ „
„ „ 22 „ × 2½—3 × ¾ „
„ „ 24 „ × 2½—3 × ¾ „

და ფანერა 50000 ფურცელი

კაკლის, მუხის და თელის (კარაგაჩ)—ზომა საშუალოთ.
3 არშინი×8—12 ვერ.

ყიდის

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ტყის დამუშავების განყოფ. სამმართველო პირობების გაგება შეიძლება აღნიშნულ განყოფილების სამმართველოში.
ტფილისი, ქსენიას ქ. № 5. (კრ. 348 2—2)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible] ექიმობას საჭიროებენ.
[illegible] **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღ-
ნელობით. ტფილისი, ყირმიზიანის ქ. № 20. (601—25—18.

ქ. თბ. 1-ლი უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს სასამართლოში გიორგი დავითაშვილს, ვანო შიხაშვილს და ბერძნიშვილს, როგორც მოპასუხეს საქართველოს შეერთებულ ყოფილ სასურსათო მომარაგების განყოფილებასთან სიმინდის შესახ აფრთხილებს მას, რომ თუ ისინი ორი თვის განმავლობაში დღიდა გამოქვეყნებისა არ გამოცხადდებიან დანიშნულ იქნება საქმე და ნილი დაუსწრებელი დადგენილება.

ჩემი კამერა იმყოფება სასამართლოს ქუჩაზე № 32.
60

ქ. თბ. მე-12 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს ანდრია პავლეს ძე ჟერეკოვს სასამართლოში, რომელიც მდებ ტურგენევის ქუჩაზე № 4 საქმეზე საჩივარი ფეოდოსი ვასილის—ასულ რებკოვისა მასთან განქორწინებაზე ორი თვის ვადაზე განცხადების დ დვის დღიდან.
609—

დავკარგე ივანე ვასილჩენკოს სახელზე ქალაქის საბჭოს ნიზონის საარჩევნო კომისიის მიერ გაც დროებითი მოწმობა მასზე, რომ ის არის საბჭოს ნამდვილი წევრი. ვალოს გაუქმებულათ. 577 1

დავკარგე ამბროსი გიორგობიანის სახელზე გაცემული ლობის მოწმობა № 925. ჩაითვალოს გაუქმებ 606 1

დავკარგე მარიამ დეისაძის სახელზე საექიმო-სანიტარულ შაკთა კავშირის სექციის მიერ გაცემული უ ვართა წიგნაკი. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 611 1.

დავკარგე ტარიელ კობაკიშვილის სახელზე შინაგანის სა რო კომისარიატის მიერ გაცემული სააღრიცხვო რეგისტრაციო ბარათი. ჩაითვალოს გაუქმებულად. (598 1-